შაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 4 (17) № 244

წელიწადი მესამე

საქართველო

შაბათი, 1917 წ. გიორგობისთვის 4 (17) № 244

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა წარმოდგენილ იქმნას არა უგვიანეს $1^{1}/_{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

გუშინ არც პეტროგრადიდან, არც მოსკოვიდან და არც კიევიდან არავითარი ცნობა არ მიგვიღია.

წერილებიდან

ბ. ვ. დამფუძნებელ კრების სამზადისი.
ხმა სტოკოლმიდან
ლ. სარბიელი. წერილები პეტროგრადიდან.
რუსეთი პრუსიისათვის.

გრიგოლ რობაქიძე. დიონისოს კულტი და საქართველო.
დავით კოპალი. მუქი ფიქრი შემოდგომის მუქ ღამეში (ლექსი).

ერეკლე ლუკაშვილი. სოფლიდან სოფლად.
კორესპონდენცია ქართლიდან.

ბიბლიოგრაფია. ნ. რუხაძის წიგნის გამო „მალარია".

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კანონი.

გულმოკლული მამა ნიკო გაბრიელის ძე ასათიანი, მეუღლე ექიმი მიხეილ ალექსანდრეს ძე ალავიძე, დები ეკატერინე ასათიანისა, ბიძა ექიმი ივანე გაბრიელის ძე ასათიანი, დეიდები ლიზა ნიკიტინისა, მარინე ახვლედიანისა შვილებით და პელაგია ზალდასტანიშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 2 ნოემბერს, ქ. ახალციხეში გარდაიცვალა პირველის შვილი, მეორის მეუღლე და დანარჩენების შვილი შვილი და ძმისწული

ეთერი ნიკოლოზის ასული
ასათიანი-ალავიძისა

დაკრძალვა მოხდება კვირას, 5 ნოემბერს ქ. ახალციხეში.
2—866—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განმგეობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის

პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუხგალტერ კალატოზიშვილთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის სია

№ 8

რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის

1. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა.
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

მანუფაქტურა

ორშაბათიდან, (გიორგობისთვის 6-იდან) სასურსათო გამგეობა შეუდგება მანუფაქტურის განაწილებას. ამასთან მიღებულია ზომები მცხოვრებთა მანუფაქტურით უზრუნველ საყოფად. მანუფაქტურის მიღების დროს საჭიროა წესრიგის დაცვა და გამგეობის მიერ აღნიშნულ წესების ასრულება.

უამისოდ მანუფაქტურის სწორედ და სამართლიანად განაწილება შეუძლებელია.

მანუფაქტურის მიღება შეიძლება მხოლოდ სასურსათო ბარათებით.

მოქალაქენო და ამხანაგო ჯარისკაცებო! თუ ბარათები არა გაქვთ ნუ ჩასდგებით რიგში. მიაწოდეთ სწორე ცნობები, იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი, რამდენი დედაკაცი და რამდენი ბავშვია თქვენს ოჯახში.

ამხანაგნო ჯარისკაცნო! ნუ დააწესებთ საგანგებო „ჯარისკაცთა" რიგებს. ეს, ამხანაგნო, შეუწყნარებელია.

მანუფაქტურის მიღების წესები.

1. მანუფაქტურის სასყიდლად ყოველ მანუფაქტურულ მაღაზიაში უნდა წარადგინოთ სასურსათო ბარათი და საგანგებო ბლანკზე უნდა აღნიშნოთ თქვენი ოჯახის შემადგენლობა. შემდეგ რიგით უნდა აღინიშნოს:
   ა) მამაკაცთა რიცხვი. ბ) დედაკაცთა რიცხვი.
   გ) ბავშვთა რიცხვი (14 წლამდე).

შენიშვნა: ამ ცნობების აღსანიშნავად ბლანკებს მანუფაქტურის სყიდვის დროს თვით მაღაზიებში მოგცემენ.
ცნობებს ბოლოში ხელი უნდა მოაწეროთ.

2. ბარათებით მიიღება, როგორც საცვლებისათვის (ტილო), ისე ბამბის, მატყლის, ფარჩის (ტანისამოსისათვის) და თბილი მძიმე საქონელი.

3. ოჯახის თვითეულ წევრისათვის შეგიძლიანთ იყიდოთ:
   ა. ტანისამოსისათვის—ბამბის, მატყლის ან და ფარჩის ქსოვილი.
   ბ. პალტოსათვის—მძიმე საქონელი (მატყლის ან და მატყლის ნარევი).
   გ. საცვლებისათვის—ბამბის ქსოვილი ან და ტილო.

4. ტანისამოსისათვის შეგიძლიანთ იყიდოთ ან ერთნაირი საქონელი (მატყლის, ან ბამბის ქსოვილი ან და ფარჩა) ან კიდევ სხვა და სხვა ნაირი, მაგალითად: საშარვლედ ან და სარუბაშკედ—მატყლის ქსოვილი, ფიჯაკისათვის ან და სახალათოდ—ბამბის ქსოვილი.

5. მანუფაქტურა გაიყიდება შემდეგ ნორმით:

კაცებისათვის	დედაკაცებისათვის	ბავშვებისათვის (1 წლის ბავშვისათვისაც)
სასაცვლეებო ქსოვილები: 7 არშინი.	12 არშინი.	4 არშინი.
სატანისამოსო ქსოვილები (ბამბისა და ფარჩა) $4^{1}/_{2}$ არშინი (ორგანი).	12 არშ. (ცალგანი)	4 არშინი.
მძიმე საქონელი $3^{1}/_{2}$ არშინი (ორგანი).	$4^{1}/_{2}$ არშ. (ორგანი).	$2^{1}/_{2}$ არშ. (ორგანი).

6. მანუფაქტურის ფასები მტკიცედაა გადაწყვეტილი.

ყოველ ნაჭერს აზის კომიტეტის ბეჭედი და იარლიკი, რომელზედაც აღნიშნულია ფასი.

3—824—2 **ქალაქის სასურსათო გამგეობა**

ქართული კლუბი

ქართული დრამა. **წარმოდგენა № 14.**

ოთხშაბათს, 6 ნოემბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

მეეტლე ჰენშელი

დრამა 4 მოქმ. ჰაუპტმანისა თარგ. კ. დ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ქილარჯიშვილი მ., ქიქოძე ან., შოთაძე ა., იმერელი ა., ჯაბახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარამაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ი., მატარაძე ვ., [illegible] ს., სარაული მ., შალიკაშვილი ვ.

რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა 9 ნოემბერს „პატიოსნება".

2—825—2

კვირას, 5 ნოემბერს

ქართულ კლუბში (სასახლის ქ.) ი. პ. როსტომაშვილი წაიკითხავს ლექციას დღის 12 საათზე ქართულად, ხოლო პირველზე—რუსულად:

ახალი პლატფორმა

ანუ პ.—ეკონ. ეროვნული კავშირები, როგორც ერთად-ერთი საშუალება ხალხთა პროგრესისა და ბუნებრივი გზა სოციალიზმისკენ. ბილეთები 50 კაპ. 70 კ. და 1 მ. ისყიდება კასაში. შემოსავალი შეიწირება ჟ. „შინა გიმნაზიის" გამოცემას და ავტორის იდეის პროპაგანდას.

1—865—1

თბილისის კალოუბნის ეკლესიის კრებული

პატივისცემით სთხოვს თავის მრევლს ორსავე სქესისას მობრძანდნენ ამავე ეკლესიაში კვირას, ამა თვის ოთხს, დღის თორმეტ საათზედ ახალი დროით. ასარჩევია სამრევლო საბჭო და მნათე. რადგან ეს მესამე გამოცხადებაა, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს კრებას, კანონიერი იქნება.

1—876—1

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ № 4. თ—766—31

Г. ГВАЗАВА

ГРУЗІЯ

съ точки зрѣнія

МЕЖДУНАРОДНАГО ПРАВА

გამოიცა და ისყიდება საქ. ეროვ. დემ. პარტიის ბიუროში.

თ—3

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. **მისამართი:** ფასანაურის შესახ. № 3 (1-ლი სამილიციო ნაწილი).

40—748—თ.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილ-ხოდნევისამ

განაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

25—823—16

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ე ქ ი მ ი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—14

ე ქ ი მ ი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

ტელეფონის № 14—09

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

დამფუძნებელი კრებისათვის

ბოლშევიკების აჯანყებამ ძალა უნებურად შეაჩერა საარჩევნო მუშაობა არა მარტო გაბოლშევიკებულ რუსეთში, არამედ საქართველოშიაც, სადაც ჯერ ხნობით „მენშევიკური" განწყობილებაა როგორც ძალებისა ისე სულისა.

ბევრ ჩვენს თანამოაზრეს აუცრუვდა გული რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე: აღარ სჯერათ რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა, არც პეტროგრადსა და არც მოსკოვში.

არჩევნების ოფიციალურ ვადამდის წხოლოდ ათი დღე-ღა დარჩა. შეიძლება იმათი იმედი გამართლდეს, ვინც ჰფიქრობს, რომ აჯანყებისა და სამოქალაქო ომის გამო საარჩევნო ვადა კიდევ ერთხელ გადიდება მთელი რუსეთისათვის, მაგრამ საანგარიშო ის არის, რომ ამიერ-კავკასიის სარევოლუციო მთავრობასა და პარტიების მეთაურებს გარდუწყვეტიათ წინ აღუდგნენ დამფუძნებელ კრების ახალ გადადებას, და თუ რუსეთის ოლქებში ეს გადადება ჯანყის გამო აუცილებელი გახდა, ამიერ-კავკასიის საარჩევნო ოლქის მშვიდობიანობით ისარგებლებენ და ოლქობრივად განახორციელებენ როგორც არჩევნებს, ისე დამფუძნებელ კრებას, რომელიც შემდეგ ეროვნულ სექციებად დაიყოფა.

თუ ამ გეგმამ დეპუტატთა რიცხვის გადიდებაც მოითხოვა, მაშინ ახალი ალაგები უკვე მიღებულ ხმათა პროპორციით იქნება განაწილებული პარტიებს შორის მათი საკანდიდატო სიების მიხედვით.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია პრინციპიალურად ყოველთვის წინააღუდგება იმას, რომ რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის მიღებულ წესით გარდაწყდეს ქართულ პარტიების პროპორცია საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, თუნდაც ეს კრება ამიერ-კავკასიის დამფუძნებელ კრების ეროვნულ სექციის სახით იქმნას მოწვეული. ჩვენი პარტია ამისათვის ახალ ქართულ არჩევნების მოხდენას მოითხოვს, თუნდაც უკვე შედგენილ სიებით,—მაგრამ ვინ იცის, როგორი მდგომარეობა დამყარდეს იმ დროსათვის კავკასიასა და საქართველოში. ვინ იცის, რა მოულოდნელი ნაბიჯების გადადგმა მოგვიხდეს ჩვენც და სხვებსაც...

ამიტომ ყოველი ქართველი, რომელსაც სწამს მთლიანი და განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა და ამ სახელმწიფოებრივობის აშენება ქართული სოფლისა და ქალაქის მესაკუთრის თავისუფალ შრომაზე,—ვალდებულია ჩაუფიქრდეს ცხოვრების დღევანდელ პირობებს, უყოყმანოდ შეასრულოს თავისი ვალი და იმ პარტიას მისცეს ხმა, რომელიც დაიცავს მის ინტერესებს დამფუძნებელ კრებაზე, როგორც იქ, პეტროგრადსა და მოსკოვში, ისე აქ, თბილისში.

ვისაც არა გწამთ, რომ ეროვნულად და საზოგადოებრივად საქართველოს მოწყობა სოციალისტური ხელებით იყოს შესაძლო, ნუ დაჰკარგავთ ნურც ერთ ხმას ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას.

გ. ვ.

ხმა სტოკჰოლმიდან

მოწოდება ყველასადმი.

ამისთანა მნიშვნელოვან და ყველასათვის საყურადღებო დროს, ჩვენ ერს ვერ გამოუჩენია უნარი, ძალა და ენერგია პოლიტიკურად გამოვიდეს ასპარეზზე და დაიცვას თავისი უფლება მთელი ქვეყნის წინაშე. ამ თავის პოლიტიკურს და ნაციონალურს მოთხოვნილებებზედ მას აქვს სრული უფლება, როგორც მის წარსულის საერთაშორისო ხელშეკრულობის ძალით (ხელშეკრ. 1783 წელს), ისე საერთო რუსეთის რევოლუციაში შეტანილ მონაწილეობით. რას ელის ქართველი ერი და რატომ არ აღადგენს თავის შელახულს და გაუქმებულს უფლებას? თითქმის რუსეთის ყველა ერებმა,—ფინლანდიელებმა, უკრაინელებმა, ესტონელებმა და ლატიშებმაც კი შეჰქმნეს თავიანთი საკუთარი თვითმართველობა და სცდილობენ თავიანთ ერებს უპატრონონ, რათა თვითონვე განაგონ თავიანთი საკუთარი საქმეები. ნუ თუ ქართველ ერს არ შეუძლიან ამგვარადვე შეჰქმნას თავისი საკუთარი თვითმართველობა და ეხლავე შესდგომოდა თავის ერის ბედ-იღბლის გადაწყვეტას? ამიტომ საჭიროდა ვსთვლით, შეერთდეს მთელი ერი და ყველა პარტიები, რათა შეთანხმებული ძალებით აღადგინონ მისი უფლება, შეჰქმნან თავიანთი პარლამენტი და სამინისტროები, რომ ეხლავე შეუდგნენ თავიანთ საქმეების მართვას. ეს ფაქტი არც საერთო რევოლუციას შეუშლის ხელს და ხომ რუს დემოკრატიამ გამოაცხადა ეს პრინციპი, არც ომის მსვლელობას შეაფერხებს. ეს იქნება მხოლოდ სარგებლობა იმ უფლებისა, რომელზედაც ისტორიულადაც და რევოლუციის ძალითაც სრული ნება გვაქვს. გარდა ამისა, საჭიროა გამოიგზავნოს აქ, სტოკჰოლმში, წარმომადგენელი ჩვენი ერისა, ან ჩვენი ქართველი პარტიებისა მაინც. (სულ ერთია, სოციალისტური თუ არა სოციალისტური). ეხლა აქ თითქმის მთელი დედამიწის ზურგზედ მყოფ ერებს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები, ეწევიან პროპაგანდას თავის ერის სასარგებლოდ და ჩვენი კი ხსენებაც არ არის. აქ მყოფ ქართველებს არ შეუძლიანთ ოფიციალურ[illegible]ბი, რადგან ამაზედ არ აქვთ წარმომადგენლობის უფლებები და შესაფერი მანდატი...

გ. მ.

წერილები პეტროგრადიდან

I.

ცივი და მარად მდუმარე პეტროგრადი საოცარ აჯანყების ცეცხლშია მოქცეული. რევოლუციის ცენტრი ჰღელავს იმ მღელვარებით, რომელშიც ცნაურდება ბოლოც და დასაწყისიც დაუმთავრებელი ნგრევისა. ჩრდილოეთის უსახო ნისლი იფერება ბნელ სახეებით და ქალაქი მოწყვეტილია მთელს რუსეთს, საოცარი სისწრაფით ანვითარებს სამოქალაქო ომის საბედისწერო დასაწყისს.

ბოლშევიკების მახვილი დაუზოგავათ იკაფავს გარემოს და, შესაძლებელია, მალე აქედან მთელს სახელმწიფოში განმტკიცდეს ბრძანებლობა ამ მახვილისა.

გარეგანი დასაწყისი ამ ამბებისა 24 იმ თვის შუაღამიდან იწყება, როცა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ შეადგინა ის რადიო-დეპეშა, რომლითაც ქვეყანას აცნობინებდა დროებით მთავრობის ჩამოგდებას და საბჭოთა ბრძანებლობის დამყარებას.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასასრული იმ შინაგანი რყევისა, რომელშიც იმყოფებოდა მთელი რუსეთის სარევოლუციო დემოკრატია 3—5 ივლისის ამბების შემდეგ.

იყო ორი წინააღმდეგობა: ერთი სრული ძალა-უფლება სოციალისტურ დემოკრატიის უკომპრომისო და პირდაპირი პოლიტიკის წარმოებით მეორე—ეროვნული მთავრობა და ყველა ძალთა სრული შეთანხმება მტრის უკუსაქცევად. იყვნენ კადეტები და იყვნენ უკიდურესი სოციალისტები.

მაგრამ იყვნენ მესამე „რჯულის" ხალხი, რომელნიც ამბობდნენ, რომ გაუმარჯოს რევოლუციის გაღრმავებას, გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოებს, მაგრამ იმავ დროს გაუმარჯოს ეროვნულ მთავრობას მტრის დამარცხებას. ირყეოდა ეს ცენტრი; ხან დაიხრებოდა მარცხნით და მღელვარებდა მემარცხენე ფრთა, ხან დაიხრებოდა მარჯვენით და თავს აწევდნენ ზევით კადეტები. ასეთ მერყეობაში ეს ცენტრი სრულიად დაიცრიცა და მათი ბელადები—გუშინდელნი მესვეურნი მთელი რუსეთისა, არამც თუ მოშორდნენ თავიანთ ტახტებს, პეტროგრადსაც კი დასცილდნენ.

მღელვარე რუსეთი ამ ორი ფრთის შეჯახებისთვის იყო მიცემული და აგერ ერთი მათგანი უკვე ამბობს თავის სიტყვას.

მათი სიტყვა კი ფრიად მრისხანეა ჯერ-ჯერობით. დროებითმა მთავრობამ არჩია დანებება დამფუძნებელ კრებას ვიდრე მეამბოხე ბოლშევიკებს და ბრძანება გასცა ჯარებისადმი, რომ ის ადგილს დაუთმობს მხოლოდ მთელს ერს და ითხოვდა თავის დაცვას.

24 ოქტომბერს ღამით ამის თქმა მთავრობას კიდევ შეეძლო, რადგან ყველა ფიქრობდა, რომ მას ექნებოდა საკმაო ძალა წინააღმდეგობისათვის, მაგრამ იმ ამბების შემდეგ, რომელნიც [illegible] ყველასათვის აშკარა იქმნა, რომ დროებით სარევოლუციო კომიტეტის (ბოლშევიკების) მოქმედება სწარმოებდა კარგათ განხილულ გეგმით და საკმაოთ დარაზმულ ჯარის საშვალებით.

წარმოიდგინეთ, რომ საოლქო შტაბმა ხიდების გახსნაც-კი ვერ მოახერხა, რადგან მათს მიერ გაგზავნილ 32 მხედარს 300 შეიარაღებული მეზღვაურნი დახვდა თავის ადგილზედ ჩასაფრული და ასე იყო ყველგან: სადაც არ მივიდა მთავრობის ჯარი წინასწარ კომიტეტის ადგილების დასაკავებლად, კომიტეტის რაზმებს უკვე ისინი აღებული ჰქონდათ.

ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც ტელეფონის სადგურია, ისე დაიკავეს, რომ ერთი საწინააღმდეგო თოფიც არ გასროლილა. კეგსგოლმის პოლკის სათავეში, რომელმაც ეს სადგური დაიჭირა იყო ოფიცერი, რომელმაც ის საიუნკრო სასწავლებელი გაათავა, რომელიც დარაჯობდა ხსენებულს სადგურს და თავის იუნკრობის დროსაც იქვე იმყოფებოდა და დაწვრილებით სცოდნია სადგურის მდგომარეობა. საყარაულო რაზმმა მისი ბრძანება, რასაკვირველია, უხმოდ შეასრულა. ტელეფონის დაკარგვით დროებითს მთავრობას შეუწყდა ყოველივე ურთიერთობა თავის დაწესებულებებთან და მოქმედების სისწრაფე ძალიან გაძნელდა. თითქმის ამავე დროისათვის შტაბში გამოცხადდა ორი ავტომობილი პეტროგრადის გარნიზონისაგან და მოითხოვეს, რომ დაუყონებლივ დანებებოდენ სარევოლუციო ჯარს. შტაბში ამ დროს იმყოფებოდა კიშკინ გენერალი ბაგრატუნი, ამლაჩინსკი, რომელთაც ოცი წამი ითხოვეს სათათბიროდ, მაგრამ ამ მოკლე დროში ვერავითარ გარდაწყვეტილებას ვერ დაადგენ და კიდევ დამატება ითხოვეს ათი წამი, რომ დროებით მთავრობას მოლაპარაკებოდენ ტელეფონით. საზამთრო სასახლიდან სადაც კაბინეტის წევრნი იმყოფებოდენ. არავითარი პასუხი არ გაეცა, რადგან ტელეფონი უკვე აღარ მუშაობდა და კიშკინი იძულებული გახდა შტაბის სადგომი მეამბოხეთათვის გადაეცა.

პეტროგრადის ქუჩები გათენებისას მეამბოხეთა ავტომობილებით იყო სავსე და ქვაფენილები მოფენილი მოწოდებებით, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ გაეწიოთ მათთვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იძულებული იქნებიან სისხლით ავსონ ქალაქი. საათის ათისათვის ნიკოლაევის სანაპიროს კრეისერ „ავრორას" და ორი ნაღმოსნის თანხლებით კრონშტატის მეზღვაურნი მოადგნენ და ამ ამბის გავრცელება ქალაქში საკმარისი იყო, რომ საოცარ შიშის ჟრუანტელს მოეცვა მცხოვრებნი და მთავრობის მხარეზედ მყოფი მრავალი ნაწილი სარევოლუციო კომიტეტს მიმხრობოდა.

მთავრობის მდგომარეობის უკიდურესობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. აშკარა იყო, რომ მას აღარავითარი ძალა აღარ ჰქონდა წინააღმდეგობისათვის.

საათის თერთმეტისათვის კერენსკიმ შესძლო კუზმინის თანხლებით ავტომობილით შეუმჩნევლად დაეტოვებინა პეტროგრადი და ფრონტიდან გამოსულ ჯარის შესახვედრად გაეშურა. დროებით მთავრობის კრება უმისოდ მოხდა კონოვალოვის თავმჯდომარეობით. საზამთრო სასახლეს, სადაც ეს კრება იყო მიადგნენ იუნკრები არტილერიის თანხლებით, მაგრამ ისევ მით უკანვე გაბრუნდნენ, ხოლო ექვსი საათისათვის კი, სარევოლუციო კომიტეტის შეიარაღებული ავტომობილები გამოცხადდენ და ადვილად დაიკავეს თითქმის ყველა გამოსავალი სასახლიდან და დროებით მთავრობა მომწყვდეულ იქმნა შინა შენობაში. ერთად ერთი მინისტრის ამხანაგთაგანი, ჩვენი თანამემამულე თავადი თუმანიშვილი, რომელიც ქალაქში იმყოფებოდა და მთავრობის ჯარებს ხელმძღვანელობდა, სასახლის მოედანზედ დაიჭირეს სარევოლუციო კომიტეტის რაზმელებმა.

„რესპუბლიკის საბჭოს" წევრნი დილიდანვე მარინის სასახლეში შეიკრიბნენ და ჯგუფ-ჯგუფად ბჭობდენ შექმნილ მდგომარეობის შესახებ. პირველი საათისათვის ამ შენობასაც ალყა შემოარტყეს და სარევოლუციო კომიტეტის კომისარმა მოითხოვა თავმჯდომარე ავქსენტიევისაგან დაუყოვნებლივ დაცლა სასახლისა, ხოლო დროებით მთავრობის წევრნი, ვინც კი იქ იმ დროს იმყოფებოდა დატუსაღებულად გამოაცხადა.

ლ. ხარბილი.

(შემდეგი იქნება)

დიონისოს კულტი და საქართველო

8. დიონისო ჰელლადაში

დიონისოს კულტი ჰელლადას მოედვა. ჰელლადამ წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ დიონისო მოერია. ჩვენ გვხვდება აქ **კორიბანტიზმი**: ნათესაური მოვლენა დიონისურისა. ეს არის რელიგიური შეშლილობა. ავადი ამ შეშლილობაში ხედავს სხვა და სხვა პლასტიურ სახეებს: ესმის უჩინარი სალამურის ხმა, აშლილია სიგიჟით, ატაცებულია ცეკვის ქანით, შეპყრობილია დემონით, ჰირეულია. ასეთივე ფენომენი: „შავი სიკვდილი" მეთოთხმეტე საუკუნეში რეინის ნაპირებზე: სულიერი და ხორციელი აშლილობა (იხ. ერვინ როდე, იგივე წიგნი, ტომი II, გვ. 42—43; შეად. აგრეთვე ვალერი ბრიუსოვის რომანი „ცეცხლეული ანგელოსი"). ცეკვის მანია: სიგიჟე არეულით: ქალები და ვაჟები ერთი მხარიდან მეორეს მიედებოდენ და ყიჟილ-ხივილით უხმობდენ სხვა და სხვა დემონებს (შეად. აგრეთვე „ხლისტების" სექტა რუსეთში: ესეც ნამდვილი დიონისოს კულტის ნატეხია, მხოლოდ ძალზე ბარბაროსული; იხ. ანდრეი ბელის რომანი „ვერცხლეული მტრედი").

ჰელლადაში ასეთ ავადებს (—პირვეულებს—) ცეკვითა და მუსიკით არჩენდენ: ცეკვა და მუსიკა უსაშინელესად ამძაფრებდა მათს პირვეულობას, მიიყვანდა უკანასკნელს იმ ზომამდე, რომ მეტი მისი გაძლიერება შეუძლო იყო: აკმაყოფილებდა ამრიგად მათს ჟინს,—და ისინიც თითქო „თავისუფლდებოდენ" უცხო ძალთა „შეპყრობისაგან". ჰეზიოდი მოგვითხრობს: პროიტოს ტირინსის მეფის ქალები აიშალნენ ხსენებული სიგიჟით, ცეკვით და ყივილით გადაიარეს მთები პელეპონესისა, შეუერთდენ ქვევით სხვა ქალებს, მზგავსადვე აშლილებს,—და ბოლოს, განთავისუფლდენ ვინმე ქადაგი **მელამპის** მიერ.

მელამპი (ნახევრად მითიური პიროვნება) მართავს დიონისოს კულტს. ჰეროდოტეს სიტყვით, იგი დამაარსებელია დიონისოს კულტის. გარნა, მელამპი **აპოლლონ** მსახურიცაა და მის მსახურებაში ეს ორი ღმერთი ერთი-მეორეს შეეპრება. მელამპმა განსაზღვრა „დიონისიები" (დიონისოს დღესასწაულნი): წელიწადში—ერთხელ (ნოემბერი ან დეკემბერი). დღესასწაულთა ადგილი: **პარნასის** ველი. საბერძნეთის ქალაქები გზავნიან იქ სადღესასწაულოდ ვაკხანელ-ქალებს (სამოქალაქო კულტი—ათინაში: ყურძნის კრეფა, დღესასწაული ყვავილებისა და სხვა). დელფოში მოხდა დიონისოსა და აპოლონის დაძმობილება: **უკანასკნელი ართმევს პირველს ველურობას და ჰკვეთავს მას ექსტაზს** ჰელლენურად ზომით. „პითია" (ქალი-ქურუმი): აპოლლონის მსახური. იგი მსვამს წმინდა წყალს, წოვს სამსხვერპლო სისხლს, ღეჭავს წმინდა ხის ფოთლებს. ქადაგად დაჯდება იგი „სამფეხაზე", ყურს უგდებს მიწის ნახეთქით მოშიშინე ხმაურს და გაშტერებული მზერით მეტყველებს წინასწარ მომავალს. „სიბილლები" და „ბაკხიდები" მოგვი ქალებია („მეწინარულნი"). ძველთა გადმოცემით სიბილლა ცოცხლობდა სამასიდან ათასს წლამდე. ხსენებულ სამფეხას ქვეშ დიონისოა დამარხული: ამას გადმოგვცემს ძველი თქმულება:—აქ ისახება დიონისოსა და აპოლლონის სიმბოლიური შეერთება: **დიონისო როგორც ღმერთი ქვეცნაურების, აპოლლო როგორც ღმერთი ზეცნობიერების**. მცირე აზიაში—ორგიასტიული კულტი კიბელასი: დიონისო აქ გვითქვება: იგი გამოდის აქ როგორც მეგობარი და მსახური „მთის დედისა" (იხ. პაული, იგივე წიგნი, ტ. 2, გვ. 1026).

ჰელლადამ მითოლოგიურად შეამუშავა დიონისოს ფენომენი. **პირველი**: დიონისო გამოდის **ძევსის** შვილად: დედა პირველი—**პერსეფონა** (ბნელეთის ქალი-მრავარი). „დიონისო—პირველი": **ზაგრეი**:—ტიტანები მიიტყუებენ მას თავისთან სარკის პირისპირ, რომელშიაც იგი მზერს თავისს ასახულებას (—პირველი სიმბოლო ინდივიდუაციისა, ანუ განპიროვნების); ზაგრეი გაიქცევა და იქცევა სხვა და სხვა სხეულებად (—მეორე სიმბოლო ინდივიდუაციის); ბოლოს, როცა ხარად იქცევა იგი, ტიტანები დაეწევიან მას და გლეჯენ მის სხეულს ნაწილ-ნაწილად (—მესამე სიმბოლო ინდივიდუაციის) და ჰყლაპავენ მას; ხოლო მის გულს იხსნის ათინა; ძევსი გაწყრება და ანაცრებს ტიტანებს ჰერუნით (ცეცხლით); ამ ნაცარიდგან წარმოსდგა ადამიანთა მოდგმა; დიონისოს გულს ძევსი ჰყლაპავს,—და შემდგომ, შეუერთდება-რა **სემელას** (თიბანელ მეფის ასულს), წარმოშობს „მეორე დიონისოს". **მეორე**: ადამიანი წარმოსდგება ორი ელემენტისაგან: დიონისურისა და ტიტანურისაგან. დიონისური ელემენტი ისწრაფვის შეუერთდეს ახალს დიონისოს **ხადდასხაღში** (დიადს ყოვლადობაში); ტიტანური ელემენტი იკავებს ადამიანს ინდივიდუაციის (განპიროვნების) რკალში. ადამიანის ვალი: მოერევა თავის თავში ტიტანურისა. საშველება „ორფიკული სიცოცხლე". **მესამე**: სული ადამიანის უკვდავია, ხოლო არ არის თავისუფალი: იგი მოქცეულია დაბადებისა და სიკვდილის უსაზღვრო „რკალში". ორფიკული სიცოცხლე არ ანთავისუფლებს სულს ამთავითვე: საჭიროა მრავალი თანდათანი „სხვადქცევა" საიქიოს. როცა მთელს რკალს „ცდათა" გაივლის, სულს შეუძლია შემდგომ საგნებით „ეზიაროს" დიონისოს, იქცევა ერთსხეულ მასთან.

გრიგოლ რობაქიძე

საზავო დეკრეტი

ერთხმად მიღებული საბჭოთა კრების სხდომაზედ 26 ოქტომბერს

მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც შექმნა 24—25 ოქტომბერის რევოლუციით და რომელიც ემყარება მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა საბჭოებზედ მიმართავს ყველა მეომარ ხალხებს და მათ მთავრობებს გამართონ დაუყოვნებლივ მოლაპარაკება დემოკრატიულ ზავზედ.

დეკრეტი მოითხოვს უანექსიოსა და უკონტრიბუციო ზავს. ანექსია ე. ი. ძალით შემოერთება რომელიმე ერისა ან ძალით შენარჩუნება იმ ერებისა, რომელნიც იქნებ თავისის ნებით შეერთდნენ და ეხლა უნდათ თავი იხსნან, ან და თავის და უნებურად უფრო ძლიერ ერს ძალით შეერთებია და ეხლა ლამობს თავისუფლებას, წინააღმდეგია სამართლიანობისა და შეუწყნარებელია დემოკრატიისათვის.

დეკრეტშია ნათქვამი რომ, თუ რომელიმე ერი არის მოქცეული ძლიერი ერის საზღვრებში იძულებით წინააღმდეგ იმისა რომ ეს ერი პრესით, კრებებით, პარტიული დადგენილებით თუ აჯანყებებით გამოსთქვამს სურვილს განთავისუფლებისას. და ამისთვის არა აქვთ საშუალება თავისუფლად მისცენ ხმა განთავისუფლების სურვილს, საჭიროა, დამპყრობელი ერის ან სხვა ძლიერი ერის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა, რათა ერს მიეცეს საშუალება გამოსთქვას დამოუკიდებლივ თავისი სურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოებას ეწოდება ძალით დაპყრობა და ძალმომრეობა.

ომის გაგრძელებით არ არის დაინტერესებული დემოკრატია. ომი ბურჟუაზიის საქმეა და მათი ალტყინებული მადის საკვები. ამიტომაც მოუწოდებთ, ამბობს დეკრეტი მოწინავე კაცობრიობის სამ სახელმწიფოს დემოკრატიას: ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიისას მისცენ მხარი ჩვენს მოწოდებას და როგორც აქამდე ყოფილან ავანგარდათ პროლეტარულ მოძრაობისა დღესაც ჩადგნენ პროლეტარიატის იდეალების განხორციელების სათავეში და სოციალიზმის დასამყარებლად.

—

უკანასკნელი ცნობები

ბაქოში მთელი ძალა-უფლება ბოლშევიკების ხელში გადავიდა. მენშევიკები, ესერები და დაშნაკცაკანები მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოდან გამოვიდნენ.

—

ხმები დადის, შავი ზღვის ფლოტი ბოლშევიკებს მიემხროო.

ქრონიკა

თბილისი

◆ **დამფუძნებელ კრების სიები** უკვე დაიბეჭდა. სულ 16 სიაა.

◆ **საარჩევნო კონვერტები** ამომრჩევლებს სახლში არ დაეგზავნებათ. ამომრჩევლები ხსენებულ კონვერტებს არჩევნების დღეს დარბაზის შესავალში მიიღებენ.

◆ **განცხადება სიების შეერთების შესახებ.** ცენტრალ კომიტეტმა განცხადება მიიღო პირველ სიის (სოციალ-დემოკრატების, მენშევიკების) და მე-11-ის (მაჰმადიანთა სოც. დემოკრ. პარტიის) შეერთების შესახებ.

◆ **დამფუძნებელ კრების გარშემო.** დამფუძნებელ კრებისთვის თბილისის საარჩევნო კომისიის წევრებად ქარ. ეროვ. დემოკრატ. პარტიის მთავარმა კომიტეტმა თავის წარმომადგენლად აირჩია დ. დუმბაძე, ხოლო კადეტთა პარტიამ ის. დოლუხანოვი.

◆ პეტროგრადსა და დონის-როსტოვის შუა ტელეგრაფის მოქმედება განახლდა და ამბები მიდი-მოდის.

◆ როგორც ამბობენ, ახალი სამინისტრო უკვე შემდგარა პეტროგრადში. მთავარ მინისტრად დანიშნულია ლენინი, გარეშე საქმეებისა ტროცკი, ეროვნებათა საქმეების მინისტრად კ. ჯუღაშვილი, საზღვაო და სახმედრო საქმეებს განაგებს სამი კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელთა შორის არიან დიბენკო, კრილენკო.

◆ **საოლქო ცენტრი მომენტის შესახებ.** გიორგობისთვის 2-ს საოლქო ცენტრმა ითათბირა ეხლანდელ მომენტის შესახებ და შემდეგი შინაარსის რეზოლუცია გამოიტანა: მხოლოდ მშვიდობიან ლიკვიდაციას შეუძლიან ბოლო მოუღოს სამოქალაქო ბრძოლას, ამისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საკოალიციო სამინისტროს შედგენა, რომელშიაც უნდა შედიოდნენ რევოლუციონურ დემოკრატიულ პარტიათა წარმომადგენელნი, სახალხო სოციალისტურ პარტიიდან დაწყებული ბოლშევიკებამდის. ამ საკოალიციო მთავრობამ უპირველეს საქმედ უნდა დაისახოს: 1) დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევა, 2) აქტიური საგარეო პოლიტიკა დემოკრატიული ზავის ჩამოსაგდებად ადრე ხანად, 3) ბრძოლა ანარქიასთან და მხედრობის გახრწნის წინააღმდეგ და ცალკე გამოსვლა რომელიმე ჯგუფის ან პარტიის მხრივ.

◆ **ხე ტყის ნახშირი** ერთი ორად გაიაფდა თბილისში. წინად ერთი ტომარა ნახშირი ფასობდა 10—15 მან. ეხლა კი 5—7 მანეთად.

◆ **ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში** არის თავისუფალი გიმნასტიკისა და ცეკვის მასწავლებლის ადგილი. მასწავლებლისათვის საჭიროა ქართული ენის ცოდნა.

◆ **ხორცის კრიზისი.** გიორგობისთვის 3-ს ბაზარში ერთობ ცოტა ძროხის ხორცი იყო და გირვანქას 1—20 კაპ. ნაკლებ არ ჰყიდდენ: ცხვრის ხორცი სრულებით არ იყო. ამის ნაცვლად თხის ხორცს ჰყიდდენ. აშკარაა ხორცის სპეკულაციაც დაიწყეს. ყასაბები ხორცს მალავენ. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ძროხის თავები, ენები და ჯიგრები ბლომად იყო საყასბოებში.

ქუთაისი

◆ **საეკლესიო საქმე და კომიტეტები.** ქუთაისის მიტროპოლიტი ანტონი აცნობებს გუბერნიის კომისარს: ჩემამდინ მოაღწია ცნობამ, რომ საჩხერის აღმასრულებელი კომიტეტი ერევა ჯრუჭის მონასტრის მართვა-გამგეობაში და ამ მონასტრის ქონებასაც ეპატრონება. ამის უფლება კი მას არა აქვს, ვინაიდან ამისთვის უკვე არსებობს საადგილ-მამულო კომიტეტი; რომელიც უძღვება საადგილ-მამულო საქმეებს.

◆ **ძარცვა-გლეჯა.** გახშირდა გზებზე ძარცვა-გლეჯა, რის გამო საჭიროა ფოსტის გადატან გადმოტანის დროს გაძლიერებულ იქმნას დარაჯთა რიცხვი, როგორც დღით, ისე ღამით. ამის გამო გუბერნიის კომისარმა შესაფერი განკარგულებით მიჰმართა ზუგდიდის მაზრის კომისარს.

ბათომი

◆ **საზოგადო მოღვაწეთა დატუსაღება.** ღვინობისთვის 31-ს, ღამით კონტრ-მზვერავთა უფროსის განკარგულებით, რომელიც ტრაპიზონიდან მოვიდა, დაატუსაღეს მამედ ბეგი აბაშიძე, ზექერია ბეგი შერვაშიძე და ქიქავა. აგრეთვე გაჩხრიკეს ქართველ მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტის ბინა.

ს. თორტიზა (გ. მ.)

◆ ადგილობრივ მცხოვრების შიო ყურინაშვილს ღამე შეიარაღებული პირნი დაეცნენ და მისი ქალი გაიტაცეს. დაადევნეს მდევარი და გამტაცები ყველა დაიჭირეს.

ქ. სიღნაღი.

◆ **ახალი გიმნაზია.** 26 ღვინობისთვეს დიდის ზეიმით აკურთხეს ახლად გახსნილი სრულუფლებიანი გიმნაზია ახალი ტიპისა. გიმნაზია შერეულია, ქალთა და ვაჟთათვის. მიღებულ მოწაფეთა რიცხვი დიდია, თუმცა მიღება კიდევ გრძელდება. სწავლის ფასი 100 მანეთია. მეცადინეობა დაიწყო. საზოგადოება სიხარულით შეეგება სიღნაღის მაზრაში პირველ საშუალო სასწავლებლის გახსნას.

რუსეთი პრუსიისთვის

ამ სათაურით დაჰგზავნა ფურცლები თბილისში დაარსებულმა ინგლის-რუსეთის კომიტეტმა. წერილი ეხება რუსეთის ქაოტიურ მდგომარეობას, რაიც დამყარდა რევოლუციის შემდეგ და გადაჭრით ამბობს: ასეთს პირობებში, უეჭველია, რუსეთი პრუსიის მსხვერპლად გადაიქცევა. რომ ეს ასე არ მოხდეს, მოკავშირეთა დიპლომატების თვალი და ყური მიქცეულია იქითკენ, რომ რუსეთს როგორმე აუქარვონ ტვირთი. ამიტომ იყო, რომ ინგლისმა ალყა შემოარტყა გერმანეთს, რათა ზღვით თუ ხმელეთით არ შეეძლოს მას რაიმე საქონლის შეტანა, და ბოლოს აიძულონ იგი ქედი

მოიხაროს, ხელი აიღოს დაპყრობით პოლიტიკაზეო. და ამას სჩადის რუსეთი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთისთვის! ეხლანდელი სამხედრო ოპერაციები გადასწყვეტენ იმ საკითხს, უნდა დარჩეს რუსეთი თავისუფალი თუ გერმანეთის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდეს? თუ მოკავშირენი მოიწადინებენ, მათ შეუძლიანთ არ იზრუნონ რუსეთის მომავალ ბედზე და ხვალვე შეჰკრან ზავი, მხოლოდ ეს კია, რომ მეორე დღესვე გერმანეთის მთავრობას მორჩილებას გამოუცხადებს. პაპის ნოტაში ერთი სიტყვაც არ არის ნაჩვენები რუსეთის მომავალ ბედზე. მასში იხსენიება ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის და ბალკანების ბედი, მაგრამ არც სიტყვა რუსეთზე. ასევეა გერმანეთის მიერ გაცემულ პასუხში, იქაც მხოლოდ ბელგიაზე და სხვა სახელმწიფოებზე მხოლოდ ლაპარაკი. როგორ უნდა გვესმოდეს ეს? აი როგორ: თუ გერმანეთმა შეიძლო და სეპარატიულ ზავით თუ სხვა გზით მონაწილეობა არ მიაღებინა სამშვიდობო კონფერენციაში, მაშინ ხელთ იგდებს რუსეთის აუარებელ დაუმუშავებულ მასალას, რაც მთელ დედამიწის სიმდიდრის ერთ მეხუთედს შეადგენს. ამიტომ საჭიროა რუსეთში თავიდან აიცილონ ის ლეგენდები, ვითომც მოკავშირენი ომს მხოლოდ და მხოლოდ გერმანეთის ავტოკრატიაზე გამარჯვება და დახმარება აღმოუჩინონ რუსეთის დემოკრატიას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

თბილისის მე-2 უბნის კრება

თბილისის მეორე უბნის კომიტეტის ბინაზე მოხდა რაიონის წევრთა საზოგადო კრება. ბ.ბ. პართენ გოთუამ და ირაკლი ამირეჯიბმა განმარტეს სადღეისო მომენტი და მოუწოდეს კრებას, მიიღონ ახლობელი და მხურვალე მონაწილეობა დამფუძნებელ კრების მახლობელ არჩევნებში, აგრეთვე აღმოუჩინონ პარტიას ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება. მცირეოდენი კამათის შემდეგ არჩეულ იქმნა კომიტეტის დამხმარე ბიურო მომავალ არჩევნებისათვის. ამორჩეულ იქმნენ: დიმ. ჩოჩია, ლიპა ჩხენკელი, გაბ. დუჩიძე, სვ. მაქაძე, ასლან ავალიანი, არ. კოტეტიშვილი, მარ. ტრონიაშვილი, ლადო ტრონიაშვილი, ივ. მახაბელი და პეპიკო წულუკიძე.

მორიგი კრება არჩევნების კრების შესახებ დანიშნულ იქმნა ორშაბათისათვის, 6 ნოემბერს, სამეურნეო ბანკის დარბაზში.

თბილის. მესამე და მეოთხე უბნის კრება

შაბათს, გიორგობისთვის 4-ს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ მესამე და მეოთხე უბნის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება.

განსახილველია საკითხი: მიმდინარე მომენტი და დამფუძნებელი კრება.

თბ. მე-10 და მე-12 უბნის კრება

კვირას, გიორგობისთვის 5-ს, დილის 11 საათზე, ახალ საკრებულოს შენობაში (ყოფილი ხარფუხის კლუბი) დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-10-ე და მე-12-ე უბნის წევრთა და თანამგრძნობთა კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები: დამფუძნებელ კრების არჩევნები, საორგანიზაციო საკითხები და სხვა.

პარტიის წევრთ და თანამგრძნობთ ვსთხოვთ უსათუოდ დაესწრნენ.

ეროვნულ-დემოკრატიულ მოწაფეთა კრება

კვირას, გიორგობისთვის 5-ს, დილის 12 საათზე დანიშნულია ყველა სასწავლებლის ეროვნულ-დემოკრატიულ მოწაფეთა საერთო კრება.

კრების საგანია: რეფერატი, საარჩევნო საკითხები და წრეთა მოწყობის საკითხები.

კრება მოხდება ქართულ გიმნაზიის დარბაზში.

ქართული სემინარია

გიორგობისთვის პირველს ქართული სემინარია გაიხსნა.

ამ დღით სემინარიის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება.

ყველას სახეზე ანაკრთოლი ღიმი ამის თავმდები იყო. მართლაც რომ სემინარიელებს სასიხარულო დღე გათენდათ.

რუსთა სემინარია თუ 1817 წელს ღვინობისთვის პირველ რიცხვებში დაარსდა—ქართულმა სემინარიამ იგი 1917 წლის ღვინობისთვის პირველ რიცხვებშივე დაასამარა. ამ ასი წლის განმავლობაში კი ბევრ ახალგაზრდას ასვეს მწარე სამსალა. იყო დრო, როდესაც დიდებულ ანჩისხატის და თელავის სემინარიებში ღრმა სადვთისმეტყველო ცოდნით აღჭურვილ შვილებს აწვდიდა საქართველოს, მაგრამ 1817 წლიდან დაარსებულმა რუსულ სემინარიამ მთლად ჩაჰკლა სამშობლოს სიყვარულის ძალა. ჩუდეცკის მკვლელობა არავის დაავიწყდება, და და ყველამ იცის, რომ იოსებ ლაღიაშვილს სემინარიაში არეულ შავბნელ პირობებმა აშიშვლებინეს ხანჯალი. საქართველოს ხომ ვერ დაივიწყებს ამ ამბის გამო, ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს, სამწყსოდ მოწოდებულ რუ ექსარხოსს პავლეს სიტყვები: „დაიწყევლოს ის ქვეყანა, რომელმაც შენი მკვლელი გამოზარდაო. ყველა ეს ხომ აღარასოდეს განმეორდება“!

სემინარია დროებით თბილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში გაიხსნა. პარაკლისს დაესწრნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი ნეტარი კირიონი მეორე. სემინარიის რექტორი დეკ. კორ. კეკელიძე მშვენიერის სიტყვით მიესალმა ეკლესიაში თავმოყრილ ახალგაზრდობას. აღნიშნა, რომ დღეს მის ხელში დასამარდა ძველი რუსული სემინარია და მის ხელშივე იყრის საძირკველს ახალი. ამ ახალ სემინარიაში სწავლის დასასრულებლად შემოკრებილ ჭაბუკებს უსურვა ყოველივე დაბრკოლების დაძლევა. დასასრულ მან მიმართა ყოვლად უნეტარეს, თვისი ლოცვა კურთხევა მოედო ქართულ სემინარიაზე.

ნეტარმან კირიონმა მოკლე და გრძნობიარე სიტყვით მიმართა ახალგაზრდებს. მისი უკანასკნელი სიტყვები: „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა“,—ცრემლებში შეიწყდა.

იყო დრო როდესაც თელავის სემინარიელებს პატარა კახი ამხნევებდათ მაგრამ ახალ ქართულ სემინარიელთ უნეტარესის ბარლყულებზე ჩამოგორებული ცრემლები უფრო ღრმად მეტყველი უნდა გაუხდეთ.

ღვინობისთვის 2 დან სწავლა დაიწყო სხვათა შორის მასწავლებლებად მოწვეულნი არიან დ. უზნაძე,—(ფილოსოფიის და ისტორიის) თედო სახოკია, (ფრანგულის) ახალგაზდა მწერალი კოწია გამსახურდია (გერმანულის) და სხვა.

ხ. ი—შვილი.

მუქი ფიქრი შემოდგომის მუქ ღამეში

იქ, სადაც სდუმს არე-მარე,
ჰმეფობს ფიქრი, მუქი, მწარე,
სადაც არეს ანთებს მთვარე,—
სიკვდილის წინ დამიბარე:
საღამოს ჟამს იქ, იქ მოდი,
მოაშორე საფლავს ლოდი
და საფლავში ჩამომძახე:
„ჯაილეიძე, თუ მელოდი“.
დღეზე დღეო, შენ დალამდი
გაილურსე და დაამდი.
ყვავილებში გამოგხვიე
და გითხარი, აწ, ნახვამდი!
როს გმარხავდი, ღმერთს ვძრახავდი,
და ხატებად ხატს გსახავდი,
და ვფიქრობდი: თუ არ ცხადად,
სიზმრად მაინც ხომ გნახავდი...
შენთან მოველ: იყო ღამე...
კვნესით გული გავადამე,
და სიცოცხლე, საყვარელო,
მოგაბარე მკვდარს რაღამე.
მოვაშორე საფლავს ლოდი,
ცრემლსა ვთოვდი, მკვდარსა გგლოვდი,
პასუხს გთხოვდი, გიძახოდი:
„გენდუროდი, მისთვის მოკვდი?..
შენ სამარე, გენაცვალე,
გქონდა ცივი, მოყინული,
თითქოს განძრახ ჩემს ჯიბრზედა.
სიკვდილიდგან მოყიდული.
სამარე ხომ საწოლია,
და საწოლი უნდა თბილი.
ბუმბულივით თბილი, რბილი.
ის კი იყო ცივი, გრილი.
შემეცოდე და ცივ საფლავს
მოვაფინე შავი მატყლი,
გათბა მიწა და კუბოდან
ამოხოხდა თეთრი მატლი.
მოვეკიდე მატლის მადლი,
უცებ გათბა მატყლში მატლი,
და გამთბარმა ჩუმად მითხრა:
„ამბავს გეტყვი, თუ შენ მაცლი:
აქ იწვალა, გარდიცვალა,
და საფლავში დაიმალა,
იქ სიცოცხლე კვლავ მოსწყურდა
და მატლებად დაშალა.
თუ ის გწამდა, მეც მიწამე
სიყვარულში მეც მაქვს წილი,
გარდიცვალა, შეიცვალა,
შეცვლილის ვარ მე ნაწილი.
იმის ტანი თოვლზე თეთრი
მატლებად არის ქცეული
თეთრ კუბოში, შავს მიწაში
დაშლილი და დაქცეული“.
რა ეს მითხრა, ტანზე დავსვი,
ამებურძგლა კანზე ღეწვი.
„ოჰ, ოჰ! ჩემო“!.. მჩურჩულებდა:
„ოჰ! გამათბე, მცივა, დამწვი...
სატრფო მწვავდა, მაინც მწამდა,
სიყვარულის ვარ ამტანი,
მაგრამ იმას ვერ გაუძლო:
ყინვასავით ჰქონდა ტანი.
იდლიაში ჩამიხოხდა
და მომგვარა ქრუანტელი,
და გაითბო ცივი წელი,
და გასწორდა, ვითა წკნელი.
იმას სხვებიც მოემატა
და შეიქმნა ერთად შვიდი,
ისარივით მესობოდენ,
თითქოს კუბო იყო შვილდი.
დამბწკინეს და ამატირეს,
დააგუბეს ცრემლთა გუბე,
თითქოს მწყენდა... წავეჩხუბე...
და ვაჩვენე თვალის უპე,
შიგ ჩაბუდდნენ, გაიბუდდნენ,
გამობრუნდნენ და დაბრუნდნენ...
მაგრამ მალე შიგ მოწყინდნენ
დადუმდნენ და ამობრუნდნენ.
მოვეფერე ათას ფერით,
ათას ფერით მონაფერით.
მიმატყუე, ვარდთან მოკვდნენ,
ვერ უშველე ვერაფერით.
შენს საფლავზე დავინახე,
ავარდნილი ვარდისა ხე
გამიკვირდა, სულ შენ გგავდა,
და პირჯვარი გარდვისახე.
იქვე ვნახე: იყო ობლად,
ობლად ობოლი ბობოლი
აბრეშუმის პარკის მქსოვი
მზის სხივებზე დანაბრალი...
შენი ნახვა მომენატრა,
და სამარე გაგითხარა,
მე მეგონა, იქ გნახავდი,
და ერთ წამით გავიხარე.
მაგრამ, იცი, გენაცვალე,
მე მოვსტყუვდი, გეფიცები
მე იქ ვნახე შენს ბინაზე
მარტო ძვლები და ფიცრები.
და ტანი კი ვარდ-ქმნილიყო,
შენებრ ჰკრთოდა, შენებრ, ჰო... და
მას მშვენიერს და თვალ წარმტაცს
შენი ლოყის ფერი ჰქონდა.
მივწვდი, ყელში, ყელში ყერწში—
მოწიწებით და ვემთხვიე.—
ავცრემლდი და... და ავტირდი,
ავტირდი და ჩავეხვიე...
თავზე ვიღაც მჩურჩულებდა:
„აწ გეყოფა, ვარდსა ჰლეწავ,
თავსა განძრახ იკატუნებს
ტანს ძირს ძირავს თითქოს სძინავს.
თითქოს იმას არ ალვ ძება,
ჩანგი ტკბილი მგოსანთ მეფის,
ვინც სიყვარულს არ ჰღალატობს,
აღმერთებს და მარად ეტრფის.
ის ვინ იყო, რომ ეს მითხრა?:
იყო ეს ის სატრფოს სული,
თვის ნაქსოვი პარკისაგან,
თეთრ პეპლად ამოსული,
ის პეპელა ვარდს უვლიდა,
და ნაზ კოკორს მას უშლიდა,
მკრთალ ტუჩებით და ჰკოცნიდა
ჰკოცნიდა და ფერს უცვლიდა.
მეც, მეც გეთხარ,—მეც მაკოცე,
და გამიქრე შავი ფიქრი,
მომიხედე და შემომხედე,
როგორ ჩავქრი, როგორ მივქრი...
თუმცა, არა, ვარდს ექროლე,
ვარდთან იყავ, არ მოშორდე,
გენაცვალე, მომიცადე,
მომიცადე, მეც მსურს მოვკვდე...
იგი ვარდი—სატრფო ქალი,
რომ არ გაქრეს, რომ არ მოკვდეს...
მე ვაჟ-ვარდად გარდვიქმნები,
სატრფოს ბედი მსურს მეც მქონდეს.
შენ ლაჟვარდში, დილის ცვარში,
დაინამო, დაიცვარო,
მაგ ქალ-ვარდის მე ვაჟ-ვარდის
მტვერში უნდა დაისვარო,
და აერთო ტრფობის მტვერი
სიკვდილისთვის შხამი გესლი
და ახალი სიცოცხლისთვის
სიყვარულის ცეცხლის თესლი.

დავით კოპალი

დამფუძნებელ კრების

საარჩევნო კანონი

თავი 4.

საამომრჩევლო სიების შესახებ.

25. დამფუძნებელ კრების წევრთა ასარჩევად ამომრჩეველთა სიები შედგება· თვითეულ საარჩევნო უბანი თითო სიას შეადგენს.

თვითოეული ამომრჩეველი მხოლოდ ერთი უბნის სიაში უნდა იყოს შეტანილი.

26 საამომრჩევლო სიების შედგენა ევალება ქალაქისა და სოფლის სამართველოებს და აგრეთვე სოფლის საზოგადოებათა საერობო სამმართველოებს კუთვნილებისამებრ.

27. იმ დღეს, როდესაც ხსენებულ სამმართველოებმა საამომრჩევლო სიების შედგენა უნდა დაიწყონ, დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი საოლქო კომისია დანიშნავს და მთელ ოლქში გამოაცხადებს ისე, რომ ყველა მცხოვრებმა იცოდეს ეს.

28. საამომრჩევლო სიებში შეიტანებიან ის პირნი, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს და სიების შედგენის დროს ამა თუ იმ უბანში იცხოვრებენ, თუნდაც იგი უბნიდან დროებით წასული იყოს.

29. ის პირნი, რომელნიც საარჩევნო უბანში საამომრჩევლო სიების დაწყებიდან ერთი დღის შემდეგ მოვლენ, სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანებიან, თუ ამას ისინი საქალაქო და სასოფლო სამმართველოს ან და სოფლის საზოგადოების საერობო სამმართველოს განუცხადებენ. განცხადების შეტანა სიების გამოცხადებამდის და მათ გამოცხადებიდან კიდევ 5 დღის განმავლობაში შეიძლება, ხსენებულ განცხადებასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას აგრეთვე იმის განცხადება, რომ ის არც ამ უბნის ამომრჩეველთა სიაშია შეტანილი, სადაც წინად სცხოვრობდა. ამ განცხადებას სამმართველო დანიშნულებისამებრ გაგზავნის სადაც ჯერ არს.

30. საამომრჩევლო სიაში ინიშნება: გვარი ან და გამოცვლილი სახელი თვითეულ ამომრჩევლისა, სახელი, მამის სახელი, წლოვანობა, ბინა და ხელობა. სია თვითეულ უბანში, გვარების ანბანზე უნდა შეადგინონ.

31. სიები შედგენისამებრ, და ყოველ შემთხვევაში არჩევნებამდის ორმოცი დღით წინ მაინც, საყოველთაოთ უნდა გამოცხადდეს ისე, რომ ყველას შეეძლოს მისი ნახვა.

32. ადგილობრივ ადმინისტრატიულ მთავრობის წარმომადგენელს პროტესტის განცხადება და ხოლო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მქონე პირებს სიის უსწორობაზე ან და მის უსრულობაზე საჩივრის შეტანა შეუძლიანთ მხოლოდ სიების განცხადებიდან 10 დღის განმავლობაში.

ხსენებული საჩივრები თუ პროტესტები უნდა შეიტანონ ქალაქისა და სოფლის ანდა სოფლის საზოგადოების საერობო სამმართველოში.

33. ქალაქისა და სოფლის ან და სოფლის საზოგადოების საერობო მმართველობა აკმაყოფილებს მოჩივრებს იმის და მიხედვით თუ რამდენად შეწყნარებული იქნება მათი საჩივარი თუ პროტესტი შეუწყნარებელი იქნება: საჩივრები მოჩივართა საამომრჩევლო სიაში შეტანის შესახებ იმ შემთხვევაში თუ ხსენებულ პროტესტ-საჩივრებს მე-32 მუხლში ნაჩვენებ ვადის გასვლამდე ხუთი დღით მაინც ადრე შეიტანენ და 2) საჩივრები მოჩივართა შესახებ სიებში შემცდარ ცნობებზე, ასეთ საჩივრების შეწყნარებას სამმართველონი მომჩივრებს შეატყობინებენ.

34. სხვათა საჩივრებს თუ პროტესტებს ქალაქის და სოფლის ან და სოფლის ან საზოგადოების საერობო სამმართველო სამ დღის განმავლობაში გადასცემს დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო კომისიას. საჩივრისა თუ თხოვნასთან ერთად სამმართველო მის შესახებ ახსნა-განმარტებასაც წარადგენს.

35. თუ პროტესტში ანუ საჩივარში სადავოთ თვლიან რომელიმე ნაჩვენებ პირს საარჩევნო უფლებას, იმ შემთხვევაში მათ, ვისზედაც ჩივიან, საქალაქო, სასოფლო ან სოფლის საზოგადოების სამმართველოები აცნობებენ, თუ რა პროტესტი ან საჩივარია მათზე შემოტანილი.

36. დამატებითი საამომრჩევლო სია მე-32 მუხლში ნაჩვენებ ვადის გასვლამდე სამი დღით მაინც წინ უნდა გამოცხადდეს.

ამ დამატებით საამომრჩევლო სიაში აღინიშნებიან მხოლოდ: 1) ის პირნი, რომელთა განცხადება მათ თავის დროზე სიაში შეტანილობის გამო შეწყნარებული იქნება (მუხლი 29) და 2) ის პირნი, რომელთა საჩივრებიც სამმართველომ დააკმაყოფილა. დამატებითი საამომრჩევლო სია მე-30 მუხლის დაურღვევლად უნდა შესდგეს.

37. დამატებით სიის შესახებ პროტესტი თუ საჩივარი მე-32-ე მუხლში აღნიშნულ ვადაზე მე-32, მე-34 და მე-35 მუხლების წესით უნდა იქმნას შეტანილი.

38. პროტესტები თუ საჩივრები დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საქალაქო თუ სამაზრო კომისიების მიერ 5 დღემდე უნდა განიხილებოდნენ კარ ღია სხდომაზე, იმ წესით რა წესიც შემოღებულია ადმინისტრატიულ სასამართლოს შესახებ დებულებაში (კანონთა კრებული 1917 წ. 632 მუხლი) და რომელიც ადმინისტრატიულ მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვას შეეხება. ამასთან საქმის განხილვაზე დასწრება შეუძლიანთ: მოჩივარს თუ პროტესტის შემტანს, სამმართველოს წარმომადგენელს, განსაჩივრებულ სიის შემდგენს და აგრეთვე იმ პირთ ვის საარჩევნო უფლებაც სადაო გამხდარა.

39. დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო და საქალაქო კომისიების გარდაწყვეტილებაზე ადმინისტრატიულ განყოფილების საოლქო სასამართლოში 10 დღის განმავლობაში კვლავ შეიძლება საჩივრისა თუ პროტესტის შეტანა, ამასთან ამგვარ პროტესტებისა თუ საჩივრების მიცემა არჩევნებს არ შეაფერხებს.

40. ადმინისტრატიულ განყოფილების საოლქო სასამართლო აღნიშნულ პროტესტს საჩივრებს 5 დღის ვადაზე განიხილავს.

41. დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო და საქალაქო კომისიებისა და აგრეთვე ადმინისტრატიულ განყოფილების საოლქო სასამართლოს დადგენილებათა მიხედვით ხუთ დღეზე შესწორებული საამომრჩევლო სია არჩევნებამდის ათი დღით მაინც ადრე ხელ ახლად უნდა გამოცხადდეს ისე, რომ ყველას ადვილად შეეძლოს მისი ნახვა.

თავი 5.

კანდიდატების სიები.

42. დამფუძნებელ კრების არჩევნები მოხდება ხმის მიცემით ერთ-ერთ წარდგენილ კანდიდატების სიაზე.

43. კანდიდატების სიები უნდა განუცხადონ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საოლქო კომისიას არჩევნებამდის ოცდა-ათი დღით მაინც წინ. სიებს ამომრჩეველთა ჯგუფები წარადგენენ.

44. თვითეულ საკანდიდატო სიას უნდა ეწეროს საკუთარი ხელი 100 კაცზე არა ნაკლებისაგან, რომელთაც ხმა აქვთ იმ ოლქის არჩევნებში, სადაც არჩევნები ხდება. სიაში უნდა აღინიშნული იყოს გვარი, სახელი, მამის სახელი და ბინა თვითეულ წამოყენებულ კანდიდატისა. სიასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას განცხადება ყველა კანდიდატებისა, რომ ისინი თანახმანი არიან ამ ოლქში ამა და ამ სიით კენჭი იყარონ. სიაზე შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე მის წამომყენებელ ორგანიზაციის სახელი.

45. საკანდიდატო სიის წარმდგენელ ჯგუფმა უნდა უჩვენოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც კავშირს იქონიებს დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საგანგებო კომისიასთან და რომელიც კომისიაშივე მიიღებს მონაწილეობას. თუ წარმომადგენელი არ არის ნაჩვენები, მაშინ განცხადების პირველად ხელის მომწერი ჩაითვლება წარმომადგენლად. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საოლქო კომისიისაგან ხელში ცნობების მისაღებად ჯგუფს წარმომადგენელმა უნდა აცნობოს კომისიას თავისი მისამართი იმ ქალაქში, სადაც კომისია იმყოფება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ცნობები წარმომადგენლისადმი გადაცემულად ჩაითვლება, რაკი ეს ცნობები კომისიის სადგომში იქნება გამოკრული. ამას გარდა, ამომრჩეველთა ჯგუფმა, თუ მას ჰსურს, რომ მისი წარმომადგენლები დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ სამაზრო, საქალაქო და საუბნო კომისიების შემადგენლობაში იყვნენ შეტანილნი,—უნდა აღნიშნოს, თუ რომელ კომისიაში ვისი გაყვანა ჰსურს.

46. თვითეულ ამომრჩეველს მხოლოდ ერთ საკანდიდატო სიაზე შეუძლიან ხელის მოწერა. იმ შემთხვევაში, თუ მას რამდენიმეზე უწერია ხელი—მისი ხელის მოწერა ნამდვილად მხოლოდ საარჩევნო კომისიაში პირველად მიღებულ სიაზე ჩაითვლება.

47. სიით წარდგენილ კანდიდატების რიცხვი შეიძლება დამფუძნებელ კრებისათვის ამა თუ იმ ოლქში ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლებიც იყოს, ხოლო რაოდენობას იგი ნახევარზე მეტით კი აღარ უნდა აღემატებოდეს.

48. ერთ და იმავე კანდიდატის წამოყენება შეიძლება რამდენიმე ოლქში, მხოლოდ არა 5-ზე მეტგან.

49. ერთ და იმავე კანდიდატის ჩაწერა ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქის სხვა და სხვა სიებში არ შეიძლება.

50. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი საოლქო კომისია საკანდიდატო სიის მიღებაზე ბარათს მისცემს. ბარათში აღინიშნება თვე, დღე და საათი სიის მიღებისა.

51. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი საკანდიდატო სია არ აკმაყოფილებს 44 და 46—49 მუხლების მოთხოვნილებას დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი საოლქო კომისია ამას სამი დღის განმავლობაში აცნობებს ჯგუფის წარმომადგენელს. განცხადებანი ხსენებულ ნაკლულოვანების გამოსასწორებლად უნდა წარდგენილ იქმნას არჩევნების 24 დღით წინ.

52. იმ წარდგენილ საკანდიდატო სიებს, რომლებიც მე-44 46—49 მუხლებში აღნიშნულ პირობებს მთლად აკმაყოფილებენ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი საოლქო კომისია მიღების კვალობაზე დანომრავს. ამ ნუმერაციით და აგრეთვე ორგანიზაციების სახელით, თუ კი აქვთ წარწერა, საკანდიდატო სიები გამოიკვრება კომისიის სადგომში არა უგვიანეს 23 დღისა არჩევნებამდე. და შემდეგ დაუყოვნებლივ ცნობებით დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ სამაზრო, საქალაქო კომისიებს ქალაქის და სოფლის გამგეობათ და სოფლის საზოგადოებათა გამგეობათ და აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიებს. სიები საყოველთაოდაც იქნება გამოქვეყნებული.

53. საკანდიდატო სიების წარმდგენელ ჯგუფებს, დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ კომისიაში სიების შესაერთებლად განცხადების წარდგენა შეუძლიანთ არა უგვიანეს ხუთმეტის დღისა არჩევნებამდის, განცხადებას ხელს უნდა აწერდნენ ყველა შეერთებულ ჯგუფების წარმომადგენელნი. სიების შეერთებას კომისია საყოველთაოდ გამოაცხადებს სიების მიღების მეორე დღესვე.

54. ერთი და იმავე სიის სხვა და სხვა სიებთან შეერთება არ შეიძლება.

თავი 6.

საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა

55. ხმის მიცემა მოხდება საარჩევნო ბარათების მიცემით.

56. საარჩევნო ბარათები ერთნაირი უნდა იყოს. საარჩევნო ბარათების ნიმუშს შეიმუშავებს ამა თუ იმ საარჩევნო ოლქში დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი კომისია და არჩევნებამდის ოცდა-ხუთმეტ დღით წინ გამოაქვეყნებს.

57. თვითეულ საარჩევნო ბარათზე უნდა აღნიშნული იყოს იმ ოლქში გამოცხადებული ერთ-ერთი კანდიდატთა სია, მისი ნომერი და სახელი იმ ორგანიზაციისა, რომელმაც სია წამოაყენა, თუ სიას ეს აწერია.

58 საარჩევნო ბარათის კონვერტები ერთნაირი უნდა იყოს, ქელი. კონვერტზე არ უნდა იყოს არავითარი შენიშვნა გარდა დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ სამაზრო თუ საქალაქო კომისიის ბეჭედისა.

59. საარჩევნო ბარათები და კონვერტების მზადება წინდაწინვე დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ კომისიის განკარგულებით (მე-16 მუხლი, მე 5-ე პუნქტი). ყველა გამოქვეყნებულ კანდიდატთა სიებისათვის თანაბარი საარჩევნო ბარათები მზადდება.

60. საარჩევნო ბარათებზე კანდიდატთა სიის ტექსტი იბეჭდება რუსულად, მაგრამ სიის წარმდგენელ ჯგუფს უფლება აქვს სიის გამოქვეყნებისთანავე, რომ მათთვის შესაფერ საარჩევნო ბარათებზე ჯგუფის მიერ ამორჩეულ ენაზედაც დაიბეჭდოს ტექსტის თარგმანი. თუ ჯგუფმა ეს მოისურვა, იგი მოვალეა თავისვე წარუდგინოს ტექსტის თარგმანი.

61. დამზადებული საარჩევნო ბარათები და კონვერტები დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საოლქო კომისიის განკარგულებით ეგზავნება სხვა და სხვა ქალაქს, სოფლის საზოგადოების და საერობო გამგეობას.

62. ქალაქისა თუ სოფლის საზოგადოების საერობო გამგეობა წინდაწინვე აძლევს ყველა, თვითეულ საარჩევნო უბნის სიაში ჩარიცხულ ამომრჩეველს თავის პიროვნების მოწმობებს. ამ მოწმობებში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარი ამომრჩევლისა, მისი მისამართი, საარჩევნო უბანი და ის ნომერი, რომლითაც ამომრჩეველი საარჩევნო სიაშია ჩაწერილი. ხსენებულ მოწმობაზე აღინიშნება აგრეთვე ხმის მიცემის დრო და ადგილი.

63. ამა თუ იმ ქალაქისა თუ სოფლის საზოგადოების საერობო გამგეობა არჩევნებამდის ერთი კვირით წინ უგზავნის ყველა ამომრჩეველს თითოთითო საარჩევნო ბარათს თვითეულ გამოცხადებულ კანდიდატთა სიაზე და თითო პიროვნების მოწმობას.

ის პირნი, რომელთაც საარჩევნო ბარათის და პიროვნების მოწმობის მიღება შეუძლიანთ უფლებით, მაგრამ რაიმე მიზეზით არ მიუღიათ—მოწმობას მიიღებენ არჩევნების სათანადო გამგეობაში, საარჩევნო ბარათს კი—საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დროს.

64. ქალაქისა თუ სოფლის საზოგადოების საერობო გამგეობა ამზადებს საგანგებო ყუთებს საარჩევნო სიების ჩასაყრელად. ყუთებს თითო ამოჭრილი უნდა ჰქონდეთ. თითო ყუთები ეგზავნება საუბნო საარჩევნო კომისიებს.

65. ქალაქისა თუ სოფლის საზოგადოების საერობო გამგეობა თვითეულ საუბნო საარჩევნო კომისიას არჩევნებისათვის საგანგებო ბინას აძლევს.

66. ფარულ ხმის მიცემისათვის თვითეულ საარჩევნო ბინაზე გამოიყოფა ერთი ანდა რამდენიმე ოთახი, სადაც ამომრჩეველი, მოწმების დაუსწრებლივ, სდებენ ბარათს კონვერტში.

67. საუბნო საარჩევნო კომისიის

სხდომა ხალხის დასწრებით ხდება. ხმის მიცემისათვის დანიშნულ დროზე კომისიის თავმჯდომარე წევრთა და იმ დროზე გამოცხადებულ პირთა თანადასწრებით კომისიის სხდომას ხსნის. თავმჯდომარე რწმუნდება, რომ საარჩევნო ყუთები ცარიელდება და თვითეულს თითო ამოჭრილი აქვს. იგი ხურავს ყუთს, ბეჭდავს და იწვევს ამომრჩევლებს—შეუდგნენ საარჩევნო ბარათების მიცემას. ყველა საარჩევნო ბარათის მიცემას კომისიის სხდომაზე მის 3 წევრი მაინც უნდა დაესწროს.

68. საარჩევნო ბინაზე მხოლოდ არჩევნები ხდება. მოწოდებების გამოკვრა, ბროშიურებისა და პლაკატების დარიგება, საარჩევნო ბარათების გავრცელება, სიტყვები და საზოგადოდ ყოველგვარი არჩევნების წინასწარი აგიტაცია აკრძალულია, როგორც იმ ოთახებში, სადაც საარჩევნო ბარათებს უშვებენ ყუთში, ისე იმ ოთახების კიბეებზე გასასვლელ კარებებში, დერეფნებში და სადგომის შესავალში. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თვალყურს ადევნებს, რომ არჩევნების დროს წესიერება იყოს დაცული. წესიერების დამრღვევლს თავმჯდომარე დაუყონებლივ ითხოვს.

69. საარჩევნო ბინაზე არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებული პირნი და 2) მთვრალები.

70. თავმჯდომარეს უფლება ეძლევა, საჭიროების დაგვარად, კომისიის დადგენილებით მოითხოვოს უფროსთაგან მილიციონერებისა და ჯარის კაცების გამოგზავნა.

თავმჯდომარის მიერ მიწვეულნი მილიციონერები და ჯარისკაცები სრულიად ემორჩილებიან თავმჯდომარის განკარგულებას.

71. თუ ვინმე წესრიგს დაარღვევს ანდა კომისიისა თუ მის თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილება, კომისიას უფლება აქვს დაადგინოს, რომ იმ ოთახში, სადაც არჩევნები ხდება, მილიციონერები ან და ჯარისკაცები ესწრებოდნენ. კომისიის თავმჯდომარის მოუთხოვნელად საარჩევნო ოთახში არავითარი შეიარაღებული ძალა არ შეიშვება.

72. არჩევნები უნდა დაიწყოს დრ. მთავრობის მიერ დანიშნულ დღეს და 3 დღეს გაგრძელდება, პირველ 2 დღეში საუბნო საარჩევნო კომისია ქალაქებში და დაბებში მუშაობას იწყებს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, სოფლებში-კი დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე; მესამე დღეს კი ქალაქებსა და დაბებში დილის 9-დან და სოფლებში 8-დან შუა დღის 2 საათამდე.

73. საარჩევნო ბარათი თვით ამომრჩეველმა უნდა მისცეს.

74. ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის ერთერთ წევრს თავისი სახელობის მოწმობას უდგენს; წევრი საარჩევნო სიაში ჩაინიშნავს, რომ ამომრჩეველი გამოცხადდა, რის შემდეგ უკანასკნელს მიეცემა კონვერტი საარჩევნო ბარათის ჩასაგდებათ. თუ კომისიას ეჭვი შეეპაროს, უფლება აქვს ამომრჩევლს პიროვნების მოწმობა მოსთხოვოს.

75. კონვერტის მიღების შემდეგ ამომრჩეველი დახურულ ოთახში მიდის (მუხ. 66), სადაც კონვერტში საარჩევნო ბარათს სდებს. შემდეგ ბრუნდება უკან და კომისიის თავმჯდომარეს აძლევს კონვერტს, რომელსაც უკანასკნელი მის თვალ წინვე საარჩევნო ყუთში უშვებს.

76. არჩევნების 2 პირველ დღეში ქალაქებსა და დაბებში საღ. 9 საათზე ხოლო სოფლად 8-ზე კომისიის შენობის კარები იხურება, რის შემდეგაც ბარათებს მხოლოდ იმათგან მიიღებენ, ვინც აღნიშნულ დრომდე მოვა. ბარათების მიღების შეწყვეტის შემდეგ აცხადებს ამის შესახებ და საარჩევნო ყუთების პირს ჰბეჭდავს. მეორე დასწრენი სტოვებენ შენობას, სადაც არჩევნები სწარმოებდა, თავმჯდომარის განკარგულებით მეორე დღემდე იბეჭდება კარები და აყენებენ დარაჯს.

77. არჩევნების მესამე დღეს ბარათების მიღება 2 საათზე სწყდება, შუა დღის 2 საათზე, რის შემდეგაც მხოლოდ ამ ვადამდე მოსულ ამომრჩევლებისგან მიიღებენ ბარათებს. ბარათების მიღების შეწყვეტის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს ამას და შენობის კარების გაღებას უბრძანებს.

ამის შემდეგ კომისია ჯერ გაუხსნელ კონვერტებს სთვლის. თუ კონვერტების რაოდენობა გამოცხადებულ ამომრჩეველთა რიცხვს არ ეთანხმება, (მუხ. 74) ამის შესახებ შესაფერი შენიშვნა შეაქვთ ოქმში. შემდეგ კონვერტებს ხსნიან და საარჩევნო ბარათებს სთვლიან.

78. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ კომისიის მიერ დამზადებულ ბარათების მაგივრად მიიღება აგრეთვე იმავე შინაარსის სხვა ბარათები. მიიღება აგრეთვე ისეთი ბარათებიც, რომლებზედაც რუსული ტექსტის გვერდით სხვა ენაზე დაწერილიცაა.

79. არ მიიღება: 1) საარჩევნო ბარათები, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მე-56, 5 და 60 მუხ. მოთხოვნილებებს, 2) შეუვსებელი ბარათები, 3) ისეთი ბარათები, სადაც რამე წაშლილია, შესწორებული ან ნიშან დასმულები, აგრეთვე ხელმოწერილი და იმავე შენიშვნებიან კონვერტში ჩადებული, 4) თუ კონვერტში ერთ ცალზე მეტია ჩადებული და შინაარსი მათი სხვა და სხვაა. თუ შინაარსი ერთია, მაშინ ჩაითვლება მხოლოდ ერთი.

80. საკითხი ბარათის მიუღებლობის შესახებ უნდა განიხილოს საუბნო საარჩევნო კომისიამ ხმის უმეტესობით. ხმის თანასწორობის დროს თავმჯდომარეს გადამწყვეტი ხმა აქვს.

81. მიღებული საარჩევნო ბარათები ყოველ საკანდიდატო სიისა ცალკე ითვლება.

82. ოქმი უნდა შესდგეს ყველა იმისა, რაც ხდება საუბნო საარჩევნო კომისიის გახსნიდან და გათავებამდე. ოქმში შეტანილი უნდა იყოს თავმჯდომარის ყველა განკარგულებანი, კომისიის დადგენილებანი და კომისიაში მყოფ ამომრჩეველთა განცხადებანი, მასში უნდა აღინიშნოს აგრეთვე ყოველ სიის სასარგებლოდ შეტანილ ბარათების რიცხვი და უკანონოდ ცნობილი საარჩევნო ბარათების რაოდენობა და განმარტება იმისა, თუ რად სცნეს უკანონოდ. ოქმს ხელი უნდა მოაწერონ: თავმჯდომარემ, კომისიის წევრებმა და დამსწრეებმა, უკეთუ უკანასკნელნი მოისურვებენ.

83. საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ სამაზრო ან საქალაქო კომისიას ეგზავნება. ოქმს ცალკე პაკეტებში უნდა გაჰყოლოდნენ თან: 1) კომისიის მიერ კანონიერად ცნობილი ბარათები, 2) ის ბარათები, რომლებიც კომისიის რომელიმე წევრმა ვერა სცნო კანონიერად, თუმცა ხმის უმეტესობით ჩაითვალა კანონიერად, 3) ის ბარათები, რომლებიც კომისიამ უკანონოდ სცნო, მაგრამ ზოგმა წევრმა ეს არ გაიზიარა და 4) კომისიის მიერ ერთხმად უკანონოდ ცნობილი ბარათები.

84. დამფუძნებელ კრებისათვის შემდგარ საქალაქო თუ სამაზრო კომისია განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა ოქმებს და საბოლოოდ სწყვეტს, თუ რომელი ბარათებია კანონიერად შეტანილი და რამდენი ბარათი მიუღია კომისიას ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ ყოველ საარჩევნო საუბნო და მთელი სამაზრო თუ საქალაქო რაიონში.

85. დამფუძნებელ კრებისათვის შემდგარ სამაზრო, თუ საქალაქო კომისიის ოქმები საუბნო კომისიის ოქმებთან ერთად ეგზავნება დამფუძნებელ კრებისათვის შემდგარ საოლქო კომისიას და აგრეთვე მე-83 მუხლის მე-2—4 პუნქტებში მოხსენებული საარჩევნო ბარათები.

86. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ სამაზრო და საქალაქო კომისიების კრება, რომელზედაც საუბნო კომისიების ოქმებს განიხილვენ და საარჩევნო ბარათებს სთვლიან, საჯარო უნდა იყოს.

თავი 7.

არჩევნების შედეგების გამორკვევა.

87. დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი საოლქო კომისია, სამაზრო და საქალაქო კომისიების სხდომა პროტოკოლების მიხედვით, სთვლის ხმებს მთელ საარჩევნო ოლქში. კანდიდატთა თვითეულ სიაზე მიცემული ხმები ცალკე ითვლება. შემდეგ იმ ოლქში დამფუძნებელ კრებისათვის ასარჩევ წევრთა რიცხვი ნაწილდება გამოცხადებულ სიათა შორის, თვითეულ სიაზე მთელ ოლქში მიცემულ ხმების კვალობაზე.

ასეთ განაწილების წესი ნაჩვენებია 89—91 მუხლებში.

88. თუ არჩევნებისათვის დანიშნულ დროზე ერთს თუ რამდენიმე უბანში არჩევნები არ შესდგა და ამასთან არჩევნებში მონაწილეობა მიუღებელთა რიცხვი იმ ოლქის ამომრჩეველთა ერთ მეათედს მაინც შეადგენს—დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი საოლქო კომისია ზომებს ღებულობს მეორე არჩევნების მოსახდენად. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობა მიუღებელთა რიცხვი არ შეადგენს ზემოხსენებულ მთელ ამომრჩეველთა ერთ მეათედს, და მეორე არჩევნები არ შესდგა—დამფუძნებელ კრების საარჩენოდ შემდგარ საგანგებო კომისიამ უნდა დასთვალოს საარჩევნო ბარათები და ის ოლქები, რომლებშიაც არჩევნები არ მომხდარა სახეში არ მიიღებიან.

89. მთელ ოლქში თვითეულ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ მიცემული ხმები ცალკ-ცალკე უნდა გაჰყონ და ასე ჯერ-ჯერით 1-ზე, 2-ზე, 3-ზე... მიღებულ ნაწევრებიდან უნდა გამოიყონ იმდენი უფროსი ნაწევრი, რამდენიც დამფუძნებელ კრების წევრი იქნება ასარჩევი ოლქიდან. შემდეგ ეს ნაწევრები ისე უნდა დაიწერონ, რომ პირველი ყველაზე დიდი იყოს და შემდეგი ნაწევრები კი თანდათანობით ერთი მეორეზე მომცრო. ამ შემთხვევაში უკანასკნელი ნაწევრი იქნება საარჩევნო განსხვავება.

დამფუძნებელ კრების ასარჩევ წევრთა რიცხვი, რომელიც თითო სიაზე მოდის, განისაზღვრება ასე: სიის სასარგებლოდ მიცემულ ხმების რიცხვი უნდა გაიყოს საარჩევნო განსხვავებაზე.

თუ ასეთ განაწილების შემდეგ აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი ადგილი რამდენიმე სიას ერგო, მაშინ უპირატესობა მიეცემა იმ სიის კანდიდატს, რომელსაც მეტი ხმა მიუღია, თუ ხმებიც თანაბრადაა მიცემული, მაშინ კენჭი უნდა იყაროს.

90. თუ საარჩევნო სიაში ჩამოთვლილ კანდიდატთა რიცხვს აღემატება ამ სიის სასარგებლოდ მიცემულ ხმებით გასულ წევრთა რიცხვი, მაშინ კრების წევრებად ჩაითვლებიან მხოლოდ სიაში ნახსენები და დანარჩენი ადგილები კი თავისუფალი დარჩება.

91. თუ საარჩევნო ოლქში სიები შეერთდა და ამის შესახებ განცხადებაც იქნება შეტანილი (მუხ. 53), შეერთებულ სიების სასარგებლოდ მიცემულ ხმებს შეართებენ, ამის მერმე ადგილების განაწილება შეერთებულ სიასა და სხვა სიების შორის ხდება მე-89 მუხლში ნაჩვენებ წესითა და შემდეგ შეერთებულ სიათა შორის იმავე წესით უნდა იქნეს განაწილებული ადგილები. თუ მიღებულ ადგილების შესაფერად ერთს შეერთებულ სიათაგანს კანდიდატები აკლია. მაშინ მეორე სიიდან უნდა შეივსოს. თუ ორზე მეტი სიაა შეერთებული, მაშინ იმ სიიდან შეივსება, რომელსაც მეტი ხმა ექნება მიღებული.

92. ყოველ საარჩევნო სიაში ჩამოთვლილი კანდიდატები დამფუძნებელ კრების წევრებად იმ რიგით ჩაითვლებიან, რა რიგითაც სიაში არიან ჩამოთვლილნი.

93. თუ დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ კომისიას მოუვიდა ცნობა, რომ ერთი პირი ორ ალაგას არის არჩეული, მაშინ უკანასკნელს კომისია წინადადებას აძლევს დღიდან წინადადების მიღებისა 8 დღეში აცნობოს მას, თუ რომელ ოლქიდან სურს მას შეინარჩუნოს დამფუძნებელ კრების წევრობა. თუ ხსენებულმა პირმა 3 დღის განმავლობაში არ აცნობა კომისიას, მაშინ იმ ოლქიდან გავა, რომელშიაც მეტი ხმა ექნება მიღებული.

სოფლიდან სოფლად

რაჭაში

იმერეთიდან რაჭაში ნაქერალის უღელტეხილით გადავედით. საოცარ სურათს წარმოადგენს ეს უღელტეხილი, რომლის სიგრძე 40 ნაბიჯი იქნება. აქეთ ქუთაისისკენ მოსჩანს იმერეთის არე-მარე ფოთლით შემოსილ ხე-ტყით, ჩრდილოეთისკენ კი 40 ნაბიჯის იქით რაჭის ფერდობზე მხოლოდ ნაძვის ტყეს ხედავს გაკვირვებული მგზავრი. ეს მოულოდნელი ცვლილება ბუნებაში აიხსნება იმ გარემოებით, რომ ნაქერალის მთა ერთი მხრივ მთლად სამხრეთით არის მიქცეული რაჭისკენ კი ჩრდილოეთით. სადაც მზე არასოდეს არ უდგება.

ამ ადგილას ვიდექით მე და ჩემი თანამგზავრი, რომ დაგვეწია ერთი მოხუცებული ბერი კაცი, რომელსაც კვალ და კვალ მოსდევდა 18-19 წლის ბიჭი. მოგვესალმნენ და, როგორც იმერლებს აქვთ ჩვეულებათ, პირველი კითხვა იყო, საიდან და სად მიდიხართ. რომ უთხარით, რომ ჩვენდა სასიამოვნოდ დავდივართ თბილისიდან წამოსულები, ბერიკაცს ეუცხოვა ეს ქართველებისთვის არა ჩვეულებრივი მოვლენა.

— ეხლა საით მიემგზავრებით?— გვეკითხება იგი. ეტყობა, ჰფიქრობს ეს ქალაქელები ხომ არ დამიცინიან ამ დროულ ადამიანსო.

— ნიკორწმინდაში მივალთ.—ვუპასუხებ მე.

— ნიკორწმინდის საყდარი, ჰაი-ჰაი, რომ კაი სანახავია! წითელი სისხლის ჯვარი, კედლებზე გამოქანდაკებული ანგელოზები ოთხივე მხარეს, შიგნით ხომ ისეა კედლები მოხატული, რომ გარეთ გამოსვლა აღარ მოგინდებათ. რაკი ბერიკაცმა ასე თავის-თავად და ხელმიწვევნით გაიგო ჩვენი მოგზაურობის მიზანი, მოვემართეთ წინადადებით, ერთად წავსულიყავით ნიკორწმინდას, სადაც თითონ და ამის შვილიშვილი მიდიან.

გაუდექით გზას მუსაიფით.

— ამ ახალ თაობამ,—მიგვითითა იმან ახალგაზდაზე,—კარგი საქმე გვაწია.

აგერ ის ვებერთელა მთა ჩვენ და დადიანების სადავო იყო ეს 40 წელიწადია. ჩვენი საქმე მართალი იყო. რუსის კანონითაც კი საქმეს ჩვენ მოვიგებდით, მაგრამ ამ ათი წლის წინ ზემლაბრები რომ მოვიდნენ, დადიანმა თახსიანი ათ თუმნიანი ჩაუდო ხელში და მთაც იმას დარჩა. ახლა კი მეფე და ჩინონიკები რომ ჩამოაგდეს, ახალ თაობამ გამოაცხადა, მთა სოფლისაა და ტყეც სოფლებისა არისო.

— თქვენ რომელ პარტიისა ხართ?—ვეკითხები.

— ჩვენ დემოკრატები ვართ,—მიპასუხებს ბერიკაცი.

— რატომ ირჩიეთ ეს პარტია?—ვეკითხები ისევ ბერიკაცს, მაგრამ ახალგაზდა არ აცლის პასუხს და მარდათ მიგებს პასუხს: „ჩვენ მუშები ვართ, მიწის მუშები, და ამიტომ ვეკუთვნით მუშათა პარტიას. ჩვენი სოფელიც მთლად დემოკრატიაა, ერთი გამოგვერია მხოლოდ დიდების პარტიისა, მაგრამ იმ კვირია საყდრის ეზოში რომ გადმოდგა და ილაპარაკა, ხელს ნუ ვახლებთ იმ მთას, მინამ კანონით დაგვიმტკიცდებაო, იგრიალა ეს ამოდენა ხალხმა, გაჰხადა ჩუსტები და ისე ფეხშიშველა ცემა-ტყეპით გაიგდო წინ. მივიყვანეთ კამისართან და განუცხადეთ: აი, ეს ხალხის მტერი შენთვის გადმოგვეციაა, რაც კანონებია, ამას მოახმარეო“, დაამთავრა თავმომწონეთ ბიჭმა სოფლის ამბავი.

— თქვენ თითონ მოგეხსენებათ რაჭველების მიწის სივიწროვე,—ერევა ლაპარაკში ბერიკაცი,—შემოდგომაზე რომ დავაბინავებთ სახლში მოსავალს, ზოგი ქუთაისს მივდივართ, ზოგი თბილისში, და, ვინ იცის, კიდევ სადა, სამუშაოს საძებნელად. ეხლა რომ ეს ღვთის გაჩენილი მიწა ისევ ერთ მუჭა ბატონებს დარჩეთ, მაშინ ამოდენა ზღვა ხალხს რა გვეშველება? არა, მიწა მიწის მუშისა უნდა იყვეს. მაგრამ ხათაბალა კიდევ ეს არის: ბებრებს მიწის დამუშავება რომ თავის ხელით აღარ შეგვიძლიან, ჩვენ რაღა გვეშველება?

მე განვუმარტე, რომ როგორც მუშათა პარტია, ისე „დიდებისაც“ ერთი აზრისანი არიან, სახელდობრ, რომ უძლურების შენახვა თვით საზოგადოებამ და სახელმწიფომ უნდა იკისროს. ბერიკაცს მეტად ესიამოვნა ეს ამბავი და მხნედ შეუდგა ნიკორწმინდის ღამართს. გვირჩია ღამე ამ სოფელში სპირიდონას დუქანში გაგვეტარებინა.

— თქვენისთანა პატიოსან სტუმრებისთვის ცალკე ოთახი აქვს მოწყობილი,—გვაიმედებს ბერიკაცი...

როდესაც იტალიაში მოგზაური კითხულობს, ვისი აშენებულია ესა თუ ის საყდარი, ან სასახლე, მუდამ ერთი პასუხი გესმით: მიქელ ანჯელოსი!

საქართველოშიც ყველაფერს ხალხის რწმუნება თამარ მეფეს აწერს. ეს მშვენიერი ნიკორწმინდის საყდარი საუცხოო ჩუქურთმებით და კედლის სურათებით შემკული იმისივე აშენებული უნდა იყოს.

დუქანში

სპირიდონას ნაქები დუქანი ნამდვილი საერთაშორისო სასტუმრო გამოდგა. აქ იყვნენ ჩამომხტარნი ღამის სათევად ორი ურია თავის ფარჩით, რომლებიც ყოველ ნაჭერს სათითაოდ სინჯავენ ლამფის სინათლეზე, უქებდნენ ერთმანეთს მათ ღირსებას და აბრიყვებდნენ სვანებს, რომლებიც რაჭას ჩამოსულიყვნენ სამუშაოს საძებნელად. ერთი გასხდარი და გაფითრებული მღვდელი გულდასმენით უგდებ და ყურს ურიათა მიერ ფარჩის ქებადიდებას, მაგრამ რომ უთხრეს, არშინი მიტკალი სამი მანეთიო, გულმოსული გაშორდა და ოხვრით წარმოსთქვა: „ეს რა დროს შევესწარით, თქვენი ჭირიმეო!“... როდესაც ცალთვალა სპირიდონმა მარდათ გადაგვიწმინდა მაგიდა და მოხარშული ქათამი მოგვიტანა, თვალი შევასწარ, როგორ ხარბად გადმოხედა ხუცესმა გაშლილ სუფრას. მივიპატიჟე ვახშამზე, მაგრამ იმან მოუკიდა ჩიბუხს და რწმენით გვიპასუხა: მადლს თუთუნი ჰკლავსო“. ამ სიტყვებით წამოწვა კუთხეში გაშლილ ნაბადზე, ერთი ორჯელ გაამთქნარა, და როცა ამბად „მოიკლა“ მადა, გადაბრუნდა კედლისკენ და მშვიდად დაიძინა...

დუქნის კარი გაიღო და შემოვიდა ერთი რაჭველი მემამულე. მუშები მჭირია ხვალ მთელი დღით. სვანებს მალე მოურიგდა. დღეში 4 მანეთი და სმა-ჭამა. ვეკითხები სვანებს, საიდან იციან ქართული?

— ჩვენ ქართველები ვართ,—მიპასუხებს ერთი.

მინდა გამოვცადო და ვეკითხები:— საიდან ხართ ქართველები, როდესაც ჩვენ ქართველებს თქვენი სვანური ენა არ გვესმის?

— ჩვენ კაცები მუდამ ჩამოვდივართ ბარში სამუშაოდ,—მიპასუხებს,—კაცებმა ყველამ ვიცით ქართული.

— ქალებმა?

— იმათ არ იციან ნამდვილი ქართული, მაგრამ მაინც ქართველები ვართ,—იმეორებს სვანი ღრმა რწმენით.

სპირიდონამ მიგვიპატიჟა ცალკე ოთახში მოსასვენებლად. დუქანში ერთი ტახტის მეტი არ მოიპოვება, ამიტომ იატაკზე გვიგებს ლოგინს: ორი ლეიბი, ერთს ბალიში, მეორეს მუთაქა, დასახურავათ ერთს საბანი, მეორეს სალდათის ფარაჯა. ღმერთო დიდებულო! ნუ თუ ამ ლოგინში უნდა ჩავწვეთ?!

ეხლა კი მესმის, რატომ ვიცნობთ ქართველები შვეიცარიას უფრო კარგად, ვიდრე ჩვენს ტურფა საქართველოს. სად გინდათ მოგზაურთა ღამით დაიძინება? დუქნებში?.. აზრად გვქონდა რაჭიდან სვანეთში გვემოგზაურა, მაგრამ ამ ღამემ მთლად შეგვიშალა მოგზაურობის გეგმა.

ერეკლე ლუკაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ბიბლიოგრაფია

ნ. რუხაძის წიგნი-მალარია

რედაქციამ მიიღო ექიმ ნ. რუხაძის მეტად სასარგებლო წიგნი მალარია.

ყველას მოეხსენება, რომ მალარიას (ჩვენში დამბალ ციებას უწოდებენ) ადამიანის სნეულებათა შორის პირველი ადგილი უჭირავს. მის საშინელება იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ჯანღონეს აცლის ადამიანს და ნიადაგს უმზადებს სხვა და სხვა ავადმყოფობას.

ჩვენშიც ხომ საკმაოდ არის გავრცელებული მალარია (ქუთაისის გუბერნიაში მალარია მთელი წლის განმავლობაში იძვინვარებს) და ნუ თუ მეტად სასარგებლო წიგნად არ უნდა ჩაითვალოს ის წიგნი, რომელიც მდაბიო ხალხს ნათლად გააცნობს მალარიის თვისებას? მით უმეტეს ჩვენი ხალხი მეტად ნაკლებად იცნობს მის ვითარებას. ამას „[illegible]“-ს სახელწოდებაც მოწმობს.

ექიმ ნ. რუხაძის წიგნი ერთად-ერთი წიგნია ქართულ ენაზე, რომელიც ჩვენს გლეხს დიდს სარგებლობას მოუტანს მალარიასთან ბრძოლაში. ავადმყოფობასთან საბრძოლველად ხომ მეტად საჭიროა ავადმყოფობის კარგად შესწავლა და ამ მხრივ ხსენებული წიგნი სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს.

მალარიის შესახებ ექიმი რუხაძე ახალ სკოლის აზრს იზიარებს. ეს ახალი სკოლა ამტკიცებს, რომ მალარიის პარაზიტებს არც წყალში, არც მიწაში და არც ჰაერში არსებობა და გამრავლება არ შეუძლიათ. (ძველ სკოლის მიმდევრებს კი ასე ეგონათ). მალარიის პარაზიტები მხოლოდ ადამიანის სისხლში მრავლდებიან; მალარიას კი ერთგვარი კოღო—ანოფელესი ავრცელებსო. როგორ? რანაირად? ეს ისე ნათლად და ისე სადად აქვს აღნიშნული ბ. ნ. რუხაძეს, რომ არ გვგონია, მისი გაგება უბრალო წერა-კითხვის მცოდნესაც კი გაუჭირდეს. ამ მხრივ დიდ დახმარებას გაუწევს მრავალი მეცნიერთა წიგნებიდან ამოღებული სურათები, რომლებიც ხსენებულ წიგნში ბლომადაა გადმოღებული.

მალარიასთან საბრძოლველად ექიმ რუხაძეს ყველა მეთოდები მოჰყავს. ნათლად ჰხსნის ცნობილ ინგლისელ ექიმ როსსის მეთოდს, ორიოდე სიტყვით იხსენიებს გამოჩენილ გერმანელ მეცნიერის კოხის მეთოდს და თითქმის გულდაწვრილებით იხსენიებს იტალიურ მეთოდს. ალბად იმიტომ, რომ ჯერ ისევ 1901 წელს იტალიაში შემუშავდა კანონი მალარიასთან საბრძოლველად. იქ მალარიასთან ბრძოლის საქმე ხომ სახელმწიფოსა და თვითმართველობის საქმეა.—ჩვენ ხომ ამას არ [illegible] ხალხმა თვითონ უნდა იზრუნოს ჯანის დასაცავად. ექიმ ნ. რუხაძეს ეს ღრმად შეუგნია და იმედიც იქონია, რომ მისი წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს მდაბიო ხალხს.

წიგნი ლამაზადაა გამოცემული. 70 გვერდს შეიცავს და 1 მანეთი ღირს.

კორესპონდენცია

ქართლიდან

სოფ. ქვემო ხვედურეთი (გორის მაზრა). ყველაფერი არია და სოფელიც ფეხის ხმას აჰყვა. ნაძირალებს უკეთესი დრო აღარ უნდათ. ვისაც კი რას შეამჩნევენ, ესხმიან, ყაჩაღობაზე თვალს სდებენ. არ ეკრძალებიან არც ქალს, არც კაცს, არც ბავშვს, არც თუ მოხუცს. ერთი ასეთი შემზარავი ამბავი მოხდა კვირას, 28 ღვინობისთვეს, ღამით სოფ. ქვემო ხვედურეთში. ვიღაც ბოროტ გამზრახველნი დაეცნენ ამ სოფლის მცხოვრებს დათა ხორბალაძეს, რომელსაც წაართვეს ფულად 600 მან., ვერცხლის ქამარი და სხვა რამ ძვირფასი თუ საოჯახოდ გამოსადეგი ნივთები. გარდა ამისა, ბოროტ-გამზრახველებმა ძალზედ გალახეს დათა და მკლავში დასჭრეს. აგრეთვე გალახეს დათას ცოლი, აწვალეს მისი ბავშვები. ამასაც არ დასჯერდნენ. ნაძირალებმა დათა კარში გამოათრიეს, წააქციეს, თან სცემდნენ და თან რევოლვერებით აშინებდნენ, ჩვენა გვითხარი, სადა გაქვს ის ფულები, ჭერხოში რომ გიდევო. რა მეტი ჯანი იყო. დათამ გადასცა რაცა ჰქონდა. ამის შემდეგ ავაზაკები მიიმალნენ. მეორე დღეს ეჭვით შეიპყრეს სანდრო არჩვაშვილი, რომელიც მალე გამოტყდა დანაშაულში, როცა კარგა მისცხეს და თანაც სიკვდილით დაემუქრნენ. მან დაასახელა თავისი ამხანაგები. ეს დამნაშავენი სოფლიდან გაქცეულიყვნენ. მხოლოდ ერთის დაჭერა მოახერხეს, არჩილ ამალკაცისა, რომელიც აგრეთვე გამოტყდა დანაშაულში. ხალხი ბლომად შეიყარა. მოინდომეს მათი ჩაქოლვა მაგრამ სოფელ ქარელის კომისარმა [illegible] იხსნა ორთავე სიკვდილისაგან. ხალხი კი თავისას არ იშლიდა და მოითხოვდა დაჭერილებით, ჩვენ თვითონ გავასამართლებთ, სხვაგან სადღა მიეყვანეთო. მაგრამ კომისარმა თხოვნა არ შეუსრულა...

არჩილ ჯავახიშვილი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

კალენდარი

შაბათი, გიორგობისთვის

4

ქართვ. ღირს. მამისა ჩვენისა ლიდ. იოანიკესი; წმ. მღდ.-მოწამ. ნიკიფორე მირის ეპისკოპოზისა, ერმ. ხუცისა; წმ. იოანე ქართველისა (581—642 მისხი); წმინდა ილია ქართველისა და წმ. სტეფ. ნ. ქართველთა.

კათოლ. † საფარველი ყ. ღ. წმ. ღვთ. მარიამ.

სომეხ. იოანე ოქროპირისა.

მაჰმად. შაბე 1 რიც. საფარა 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. შაბათ 3 რ. ქისლევ 5678 წ. ქვეყ. შექ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	სწ.	№ 5,	11.32 დღ.
„	სამგზ.	№ 9,	11.28 სღ.
ბაქო-ჯულფისაკენ	სამგზ.	№ 19,	3.17 დღ.
„	„	№ 17,	8.19 დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.51 დღ.
„	სწ.	№ 4,	8.46 სღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	12.15 სღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	6.38 დღ.
„	სწ.	№ 4,	7.41 სღ.
ბაქ.-ჯულფ.	სამგზ.	№ 20,	7.57 დღ.
„	სამგზ.	№ 18,	9.50 სღ.
ბაქოდან	სწ.	№ 8,	10.26 დღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.20 სღ.
ყარს-ჯულფ.	სწ.	№ 3 [illegible],	7.58 დღ.

ტიპ. „[illegible]“ [illegible] გამგეობის შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“